2010 წელი, 23-29 სექტემბერი
ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№27 (501) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## ეროვნული გამოცდები - 2010



## გამოცდების შედეგები – განათლების სისტემაში შექმნილი ვითარების ანარეკლი

### გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი

**მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები**

გამოცდებზე გასასვლელად 13800-ზე ოდნავ მეტი პედაგოგი დარეგისტრირდა, რეალურად გამოცდაზე 10003 გამოცხადდა, იგულისხმება ის პედაგოგები, რომლებმაც ორივე გამოცდა ჩააბარეს – პროფესიული უნარები და საგნობრივი ტესტი და ის პედაგოგებიც, რომლებმაც წინასწარ განაცხადეს, რომ მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარება სურთ. ასეთია სტატისტიკა.

მოგეხსენებათ, პირველადი შედეგებით, ორივე ბარიერი 1147-მა პედაგოგმა გადალახა და მოიპოვა სერტიფიკატი. თუმცა, აპელაციის პროცესი ახლა დასრულდა და მათ რიცხვს გარკვეული რაოდენობა, ალბათ, მოემატება. შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ, სერტიფიკატის მიღების უფლება, დაახლოებით, 1200-მა პედაგოგმა მოიპოვა.

გვერდი 3

## 2010 წელს აბიტურიენტების მომზადების დონესთან დაკავშირებით

რამდენიმე კვირაა, რაც უმაღლესებში მისაღები გამოცდების შედეგები გახდა ცნობილი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ წლევანდელი შედეგები გაუარესებულია. ამას მოჰყვა დისკუსიები მედიის საშუალებით, სადაც განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებმა დაიწყეს იმაზე მსჯელობა, თუ რა საფუძვლები აქვს ამ გაუარესებას და რას მოგვიტანს ყველაფერი ეს. სინამდვილეში, არსებული მონაცემებისა და გამოცდების სისტემის ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ინფორმაცია შედეგების გაუარესებასთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულია.

გვერდი 9

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თხოვნით მიმართავს მშობლებს, საჭირო წიგნები მხოლოდ ოფიციალური დისტრიბუტორებიდან შეიძინონ. მაღაზიათა ჩამონათვალი, ასევე, შესაძლებელია იხილოთ სამინისტროს ვებგვერდზე mes.gov.ge.**

გვერდი 2

CMYK

# სასკოლო სახელმძღვანელოების გაყიდვა დაიწყო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

## განცხადება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაცნობებთ, რომ დაიწყო სასკოლო სახელმძღვანელოების გაყიდვა. თბილისსა და რეგიონებში სახელმძღვანელოების შეძენა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:**

**თბილისი** – ცოტნე დადიანის №43 (გადასასვლელ ხიდთან)
ტელ: 96-62-38, 95-35-88
**თბილისი** - ვაგზლის მოედანი №2 (ოქროს ბირჟის ტერიტორია)
ტელ: 16-18-21
**თბილისი** – ბუდაპეშტის №3ა, მაღაზია „ლატერნა“
ტელ: 38- 35- 56
**თბილისი** – სანქტ-პეტერბურგის №12, მაღაზია „სანტა ესპერანსა“
ტელ: 95- 93- 51
**თბილისი** – ალ.ყაზბეგის №43, მაღაზია „ექს-ლიბრისი“
ტელ: 10-25-53
**თბილისი** – ალ. ყაზბეგის გამზირი № 4, მაღაზია „სამშობლო“
ტელ: 38- 50 -17, 893 32 -11 -84
**თბილისი** – ვეკუას №1, ი/მ ზურა კეკუტია (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია)
ტელ: 899 46 -39 -44
**მარტვილი** – შ.რუსთაველის №10, მაღაზია „ინტელექტი“
ტელ: 899 23-00-26
**გორი** – კუტუზოვის N28, ი/მ ნინო გორგაძე
ტელ: 895 90-86-91; 892 44-48-22
**ქუთაისი** – თამარ მეფის N60
ტელ: 4-61-27
**ქუთაისი** – ავტომშენის N8
ტელ: 7-49-86; 899 23-40-03
**ქუთაისი** – ჭავჭავაძის N53ა
ტელ: 899 55-75-61
**ქუთაისი** – გრიშაშვილის N9
ტელ: 899 15-70-17
**წყალტუბო** – რუსთაველის N7
ტელ: 899 78-48-75
**სამტრედია** – ნინოშვილის N7
ტელ: 895 47-24-72
**ზესტაფონი** – აღმაშენებლის N7
ტელ: 898 93-95-86
**ჭიათურა** – ნინოშვილის N50
ტელ: 899 22-41-97
**ტყიბული** – თაბუკაშვილის N5
ტელ: 899 57-67-68
**ბათუმი** – ჭავჭავაძის N12
ტელ: 897 20-22-43
**ბათუმი** – წიგნის ბაზრობა, N3 რუსული სკოლა
ტელ: 877 30-14-11
**ბათუმი** – ჭავჭავაძის N75, „ლამპარი-99“
ტელ: 899 55-46-62; 899 98-90-44
**ბათუმი** – შაუმიანის N16, „ლამპარი-99“
ტელ: 7-50-01; 899 55-46-62; 899 98-90-44
**ბათუმი** – ჯავახიშვილის №53, „ლამპარი-99“
ტელ: 899 55-46-62; 899 98-90-44
**ხულო** – მამულაძის N2
ტელ: 7-13-48; 893 53-62-38
**ოზურგეთი** – გურიის N34
ტელ: 871 22-05-70
**ფოთი** – აღმაშენებლის N10
ტელ: 7-53-72; 895 90-43-02
**ფოთი** – ფარნავაზ მეფის N5
ტელ: 899 91-18-79
**ფოთი** – ცენტრალური ბაზრობა, მაღაზია N9
ტელ: 893 28-72-81
**ზუგდიდი** – შ. რუსთაველის N96
ტელ: 899 76-51-44
**ზუგდიდი** – შ. რუსთაველის N89, მაღაზია „ენციკლოპედია“
ტელ: 893 51-05-40
**ზუგდიდი** – შ. რუსთაველის N96
ტელ: 855 61-71-71
**სენაკი** – ჭავჭავაძის N111
ტელ: 899 23-62-05
**გორი** – ჭავჭავაძის N31
ტელ: 7-77-28; 877 43-53-08
**ხაშური** – რუსთაველის N43, ბაზრობის ტერიტორია
ტელ: 899 92-71-45
ტელ: 899 48-42-30
**ბორჯომი** – რუსთაველის N93
ტელ: 899 41-23-22
**ახალციხე** – კოსტავას N10
ტელ: 899 56-13-66
**ახალციხე** – კოსტავას N19
ტელ: 899 76-51-19
**რუსთავი** – მე-16 მ/რ-ნი, სტამბულის ბაზრობის ტერიტორია, მაღაზია N23, მაღაზია N353
ტელ: 893 39-22-50
**რუსთავი** – შარტავას N4, სკოლა „მოძღვარი“
ტელ:17-51-08; 899 76-18-11
**რუსთავი** – შარტავას N17/46
ტელ: 824 18-39-43
**ბოლნისი** – სულხან-საბას N85
ტელ: 899 43-93-55
**ბოლნისი** – კაზრეთი
ტელ: 899 56-02-64
**მარნეული** – ბაზრობა
ტელ: 899 60-67-79
**საგარეჯო** – აღმაშენებლის N24
ტელ: 899 10-23-40

# მთავარი მიზანი

## სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაცია

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი სრული გაგებით ხვდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ახალ კურსს, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყანაში განათლების პროცესის გარდაქმნა იმ მოთხოვნათა საფუძველზე, რასაც ცხოვრება, მისი ეკონომიკურ-კულტურული განვითარების პერსპექტივები აყენებს. ამ მოთხოვნებს კიდევ უფრო აღრმავებს საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა, რომელიც მან სექტემბრის დასაწყისში ქ. ბათუმში გააკეთა. მშობლიურ, სახელმწიფო ქართულ ენასთან ერთად, ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის, დაუფლებისა და სრულყოფის აუცილებლობა ყველა ჩვენგანს ავალებს გადამჭრელი ღონისძიებები დასახოს ამ საქმის წარმატებით განსახორციელებლად. თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი, მისი პროფესორ-მასწავლებლები გულდასმით მუშაობენ იმისთვის, რომ სამინისტროს მიერ გამოცხადებული სასწავლებელთა ავტორიზაციის პროგრამა ყველა პარამეტრის მიხედვით შეავსონ და სრულყონ.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან სასწავლო პროგრამაში 12 სპეციალობიდან დარჩა 4, რომლის სანიმუშო სრულყოფაზეც კონცენტრირებულია მთელი კოლექტივის სასწავლო სამეცნიერო გულისხმევა. ძირითადი საგნების სასწავლო პროცესის პროგრამების სრულყოფასთან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დავგეგმეთ საერთაშორისო უცხო ენის – ინგლისურის სრულყოფილი სწავლებისთვის. ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება შემოღებულია უნივერსიტეტის ყველა კურსზე და ყველა ჯგუფში.

ამასთან ერთად უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის ვქმნით ინგლისური ენის ორწლიან კურსებს, რომლის მიზანია ენის ისეთ დონეზე დაუფლება, რომ სასწავლო სპეციალურ საგნებში შესაძლებელი გახდეს დამატებითი სათანადო უცხოური ლიტერატურის გამოყენება.

ჩვენი უნივერსიტეტის შენობის ფართობი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დღითიდღე იზრდება. სულ ახლახან დამთავრდა და არსებულ 1500 კვ. მეტრს კიდევ დაემატა 400 კვ. მეტრი ფართობი, რაც საშუალებას გვაძლევს არა მარტო სტუდენტთა კონტინგენტი დავაკმაყოფილოთ სათანადო სასწავლო-სააუდიტორიო ფართობით, არამედ მოვაწყოთ მათთვის სპეციალური კომპიუტერული სწავლების კლასები. უკვე მუშაობს 3 კომპიუტერული კლასი, სადაც თითოეულ სტუდენტზე თითო კომპიუტერია. ასევე მუშაობს ლინგოფონის კაბინეტი, სადაც არა მარტო სმენით აღიქვამენ, არამედ – ვიზუალურადაც.

სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე წელს ჩავატარეთ პროფესორ-მასწავლებელთა ხელახალი კონკურსი, შეირჩა 60-მდე სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი.

რასაკვირველია, ყველა სასწავლებელში და ჩვენთანაც უმთავრესია გეგმიური მუშაობა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო მისიიდან და შეესაბამებოდეს საერთო ეროვნული განათლების მოთხოვნებს. შეიძლება ითქვას, ამ გეგმიური მუშაობის საფუძველზე, ჩვენთან შეიქმნა სასწავლო პროგრამები, რომელთა ჭეშმარიტი რეალიზაცია ხდება უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ავტორიზაცია, რომლის პროგრამული სტანდარტების დაუფლებასა და ათვისებას გვავალებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეს ის გზა და მოთხოვნებია, რომლებზედაც გადის საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მომავალი გზა კეთილდღეობის, თავისუფლებისა და ცივილიზებული სამყაროსაკენ.

ჩვენს უნივერსიტეტს მიმდინარე სასწავლო წლიდან სახელი შეეცვალა და დაერქვა **თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი**.

***ამირან მექვაბიშვილი***
*თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი*

# ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა შეწყალების კომისიას სამი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის – **ლევან დუმბაძის, მერაბ მინდელის** და **რატი დარბაიძის** გათავისუფლებასთან დაკავშირებით. სამივე არასრულწლოვანმა ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა და სტუდენტი გახდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მსჯავრდებული არასრულწლოვანები შეიწყალა და პატიმრობიდან გაანთავისუფლა.

18 წლის მერაბ მინდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია, 17 წლის რატი დარბაიძე ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ისწავლის, ხოლო 17 წლის ლევან დუმბაძე – კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ყოფილ მსჯავრდებულებს შეხვდა, განთავისუფლება მიულოცა, სწავლაში წარმატებები უსურვა და პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

სამინისტრო აცნობიერებს განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და შემდგომი რეინტეგრაციის პროცესში და მიიჩნევს, რომ ამ მსჯავრდებულების გათავისუფლებით და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობით, მათი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება და ისინი საზოგადოებას სრულყოფილ წევრებად დაუბრუნდებიან.

ასევე მნიშვნელოვანია, მოტივაციის გაზრდა და განათლების მიღებისადმი ინტერესის გაღვივება იმ მსჯავრდებულებში, რომლებიც არ არიან ჩართული სასწავლო პროცესში.

* * *

ელექტროენერგეტიკის დარგში საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მოსამზადებლად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნიკალური ცენტრი ჩამოყალიბდა. ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, ენერგეტიკის მინისტრმა **ალექსანდრე ხეთაგურმა**, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **რუსუდან კერვალიშვილმა**, საფრანგეთის ელჩმა საქართველოში **ერიკ ფურნიემ** და საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტმა **რევაზ არველაძემ** მოინახულეს. ღონისძიების ფარგლებში, ცენტრში გადამზადებულ 9 სტუდენტს სერტიფიკატები გადაეცათ.

სასწავლო ცენტრი, სს „თელასის“ დაფინანსებით, ფრანგული ფირმის Schneider Electric მიერ აღიჭურვა, რომლის ანალოგი თავისი დანიშნულებით, აღჭურვილობითა და კომპლექსურობით ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში არ არის.

ცენტრის მიზანია, ენერგეტიკული პროფილის სპეციალისტების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ცენტრის ბაზაზე შესაძლებელია 150-ზე მეტი ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება. კურსდამთავრებულები დაეუფლებიან მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებულ, ოცდამეერთე საუკუნის წამყვანი ტექნოლოგიებით დამზადებული დანადგარების მართვას, ექსპლუატაციას და მათი განათლება დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ საინჟინრო-პროფესიულ განათლებას გაუთანაბრდება.

მსგავსი სასწავლო ცენტრის დაარსება საქართველოში მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის საინჟინრო-საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს, რეგიონის მასშტაბით, ქვეყნის როლის გაძლიერებას ენერგეტიკის დარგში განათლების მიმართულებით.

ცენტრს დიდი პოტენციალი აქვს, გახდეს ამიერკავკასიის წამყვანი სასწავლებელი, ვინაიდან ახლო მომავალში მისი ანალოგის შექმნა რეგიონში არ იგეგმება.

დღეისათვის სასწავლო ცენტრში ტრენინგის გავლის სურვილი გამოთქვა ენერგეტიკის სფეროში დასაქმებულმა მრავალმა სპეციალისტმა როგორც საქართველოდან, ასევე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

# გამოცდების შედეგები – განათლების სისტემაში შექმნილი ვითარების ანარეკლი



*პირველი გვერდიდან*

**რომელი გამოცდის ჩაბარება უფრო გაუჭირდათ?**

ასე ვერ გავმიჯნავთ, რადგან შედეგები საგნობრივ ტესტებშიც და პროფესიულ უნარებშიც, მეტ-ნაკლებად, თანაბარი იყო. ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ცუდი შედეგი მივიღეთ, მაგრამ მე არ ვარ ასეთი ფორმულირების მომხრე. ამ ყველაფერს არ ვუყურებ, როგორც გამოცდას, ეს არის პროცესი, რომელიც დაიწყო. პირადად მე, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ მასწავლებელს, ვინც ასე მარტივად მიიღო გამოწვევა, პირველივე გამოცდაზე გამოვიდა და საკუთარი თავის შეფასების არ შეეშინდა. ნიშნული, რომელიც დავაწესეთ, ნამდვილად არ იყო დაბალი, პირიქით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მაღალი იყო. ეს ის ბარიერია, რომელიც კარგმა მასწავლებელმა უნდა გადალახოს, იმ მასწავლებელმა, როგორიც ჩვენს წარმოდგენაშია და პედაგოგების წარმოდგენაშია, როგორ შედეგებსაც ერთობლივი ძალისხმევით უნდა მივაღწიოთ 2014 წლამდე. ასე რომ, პროცესი დაიწყო და 2014 წლამდე გაგრძელდება. არაფერი ტრაგიკული იმაში არ არის, რომ პედაგოგმა, გარკვეულ ვითარებათა გამო, კონკრეტულ გამოცდაზე ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მაღალი ნიშნული, რომელიც ერთობლივად დავაწესეთ, არის ის, რისკენაც უნდა წავიდეთ და ერთობლივი ძალისხმევით დავაკმაყოფილოთ. ხშირად მეკითხებიან, რატომ მივიღეთ ასეთი შედეგი. მინდა გითხრათ, რომ მიზეზი პედაგოგი არ არის. პირველივე ცდაზე ბარიერის გადალახვა რომ ვერ მოახერხა, პედაგოგის ბრალი არ არის. უნდა განხორციელებულიყო ბევრი თანმდევი აქტივობა, რაც დაეხმარებოდა პედაგოგს, უპრობლემოდ გადაელახა ბარიერი. მომზადების პროცესი გარკვეული ხარვეზებით წარიმართა – პედაგოგთა გადამზადება, ტრენინგები უფრო ეფექტურად უნდა დაგეგმილიყო, რაც, სამწუხაროდ, სათანადო დონეზე ვერ განხორციელდა; უნდა მომზადებულიყო დამხმარე მასალა, რომელიც ყველა პედაგოგისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა; ისიც თვალსაჩინოა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, მომავალი პედაგოგების მომზადების თვალსაზრისით, პრობლემა გვაქვს და აქედან გამომდინარე, ყველაფერს პედაგოგს ნუ გადავაბრალებთ. ეს აქტივობები ერთობლივად განსახორციელებელია, საერთო მიზანს რომ მივაღწიოთ – 2015 წლიდან გვქონდეს იმის დასტური, რომ კლასში სათანადო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი შედის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარია, სწორედ იმ უნარებით აღჭურვილი, რომელიც პედაგოგს შესაძლებლობას აძლევს, ეს ცოდნა მოსწავლეს გადასცეს. შეიძლება მასწავლებელი საგნის კარგი მცოდნე პროფესიონალი იყოს, მაგრამ ამ ცოდნის გადაცემის უნარი აკლდეს. ეს კი ყველაზე მთავარია.

**მომავალი წლისთვის ხომ არ იგეგმება რაიმე ცვლილება?**

პროგრამაში, ალბათ, ნაკლებად იმიტომ, რომ ჩვენი პროგრამა, როგორც იცით, ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებს. რას გავაუმჯობესებდით მომავალი წლისთვის? ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეწოდოს მასწავლებელს, რაც შეიძლება მეტი ლიტერატურით აღიჭურვოს.

ჩვენ წელსაც გამოვცემთ ტესტების ნიმუშთა კრებულებს. ვგეგმავთ, გარკვეული სახეცვლილება მივცეთ – ტესტური დავალებების მხოლოდ მშრალი ნიმუშები კი არ იყოს ჩართული, არამედ უკვე განვლილ პირველ ეტაპზე დაყრდნობით, გაკეთდეს ანალიზი და, ასე ვთქვათ, ახსნა-განმარტება იმისა, სად უშვებდნენ, ძირითადად, შეცდომას, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რატომ არის ეს შეცდომა, განხილვა კონკრეტული დავალებებისა, რომლებიც პრობლემა აღმოჩნდა მასწავლებლებისთვის. აი, ასეთი ფორმით გვინდა მოვამზადოთ კრებულები და ოქტომბრის ბოლოს-ნოემბრის დასაწყისში ყველა სკოლას მივაწოდოთ.

**რა აღმოჩნდა ყველაზე რთული დასაძლევი პედაგოგებისთვის?**

წინასწარ ვვარაუდობდით, რომ პროფესიულ უნარებში, მაგალითად, განვითარების თეორიების ნაწილი გაცილებით უფრო რთული იქნებოდა ჩვენი პედაგოგებისთვის, ვიდრე სხვა დანარჩენი იმიტომ, რომ აქ ხარვეზს აშკარად ვხედავდით. ხარვეზს ვხედავდით უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში, იმ სასწავლებლების, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს ამზადებენ. ყველამ კარგად ვიცით, რომ მწირი იყო ლიტერატურა ამ მიმართულებით და ამაზე დიდი აქცენტი არ კეთდებოდა არც მომზადების პერიოდში და არც შემდგომ, ლიტერატურის მიწოდების თვალსაზრისით. ასე რომ, ეს რომ ჩვენი პედაგოგებისთვის ყველაზე მძიმე ნაწილი იქნებოდა, ამას იმთავითვე ვვარაუდობდით. თუმცა, რიგ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგები არ წარიმართა ისე, როგორც გვინდოდა, მაინც დაეხმარა ჩვენს პედაგოგებს, თუნდაც ამ ნაწილის მეტ-ნაკლებად ათვისებაში. თუმცა, ეს მაინც არ არის საკმარისი და გაცილებით მეტი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ პედაგოგებს მივცეთ თვითგანვითარების შესაძლებლობა და შესაძლებლობა იმისა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ და მოსამზადებლად საკმარისი ლიტერატურა ჰქონდეთ.

თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ პროფესიულ უნარებში უფრო გაუჭირდათ მასწავლებლებს, ვიდრე საგნობრივში, ორივე თანაბრად პრობლემური აღმოჩნდა. მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პედაგოგებმა, რომლებიც წელს გამოცდებზე გავიდნენ, სერიოზული გამოცდილება შეიძინეს. რაც ყველაზე მთავარია, მათ უნიკალური შანსი ჰქონდათ, საკუთარი თავი გამოეცადათ და აღმოეჩინათ ხარვეზები, რაც კონკრეტულად მათ აქვთ და არა კოლეგების გამოცდილებას დაყრდნობოდნენ, როგორც ზოგიერთი მასწავლებელი აცხადებდა – მოდი, ჯერ ჩემი კოლეგები გავიდნენ გამოცდაზე, მე ვნახავ როგორ ჩააბარებენ და შემდეგ წელს გავალ. მათ, სამწუხაროდ, ძალიან კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. შეხვედრებზე სულ ვეუბნებოდით, ნუ გეშინიათ. შეიძლება ვითარებათა გამო ბარიერი ვერ გადალახოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონკრეტული პედაგოგი კლასში შესვლის ღირსი არ არის და არ არის კარგი მასწავლებელი. საუბარია იმაზე, რომ მეტი შევიძინოთ, ცოდნის თვალსაზრისით და უნარების თვალსაზრისითაც. ადამიანებს, ვინც წელს მონაწილეობდა სასერტიფიკაციო გამოცდებში, სწორედ ეს უნიკალური შანსი ჩაუვარდათ ხელში – საკუთარი თავი შეაფასეს, ზუსტად აღმოაჩინეს, სად ჰქონდათ ხარვეზები, სად იყო მათი სუსტი წერტილი. ახლა უკვე ამაზე შეუძლიათ აქცენტის გაკეთება, ფოკუსირებულად და მიზანმიმართულად მუშაობა. ზუსტად ვიცი, რომ ასეთი პედაგოგი, გაისად რომ გამოვა გამოცდაზე, სრულიად უპრობლემოდ მოახერხებს ბარიერის დაძლევას.

**პრეტენზიები**

პირველადი შედეგები თავსდება ჩვენს ვებგვერდზე. თუ აპლიკანტს რამეში ეჭვი ეპარება (ეს მხოლოდ მასწავლებლებს არ ეხება, ასევეა აბიტურიენტებისა და მაგისტრანტების შემთხვევაშიც), ჰგონია, რომ არასწორად შეფასდა მისი ნამუშევარი, შეუძლია დადგენილ ვადებში მიმართოს სააპელაციო კომისიას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს და საბოლოო შედეგებიც მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

**მომავალ წელს გამოცდები ყველა საგანში ჩატარდება?**

დიახ, 2011 წლისთვის ჩვენ შევთავაზებთ ყველა საგნის მასწავლებელს, მათ შორის დაწყებითი კლასის მასწავლებლებსაც და ამას დაემატება პრეზიდენტის ახალი ინიციატივა – თუ სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა ჩააბარა მარტივი დონე ინგლისურის და კომპიუტერის, მას ხელფასზე 200 ლარის დანამატი ექნება. ასე რომ, ეს ნაწილიც მოსამზადებელი გვაქვს და ვვარაუდობთ, რომ იმ პერიოდისთვის, როცა სასერტიფიკაციო გამოცდები დამთავრდება, უკვე მზად გვექნება და სერტიფიცირებულ პედაგოგებს შეეძლებათ ამ გამოცდების ჩაბარება.

**დაწყებითების პედაგოგები რა ტიპის გამოცდას ჩააბარებენ?**

დაწყებით კლასებთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოყალიბებულები არ ვართ, თუმცა აპრობაციები ყველა შესაძლო მიმართულებით, კარგა ხანია, დაწყებულია და გარკვეული ეტაპი უკვე გავიარეთ. საუბარია ტესტებზე I-IV კლასის მასწავლებლისთვის, რომელიც მხოლოდ I-IV კლასებში ასწავლის, ასევე, საუბარია ტესტებზე იმ მასწავლებლისთვის, რომელიც I-IV კლასში ასწავლის, მაგრამ სურვილი აქვს, შემდეგ კლასებში გააგრძელოს კონკრეტული საგნის, მაგალითად, ქართულის სწავლება. მათთვის ცალკე ტესტი იქნება, ბუნებრივია, შესაბამისად – მათემატიკისა და ბუნების. მიდის დისკუსია იმასთან დაკავშირებით, გვექნება თუ არა ცალკე ტესტი იმ მასწავლებლისთვის, რომელიც მხოლოდ ქართულს ასწავლის I-VI-მდე, ანუ მოვთხოვთ თუ არა ამ პედაგოგს, I-IV-ს ნაწილიც ჩააბაროს, თუ მხოლოდ ქართულის ტესტს შევთავაზებთ. მე პირადად, იქითკენ ვიხრები, რომ დაწყებითი კლასების ყველა მასწავლებელმა უნდა ჩააბაროს I-IV-ს ნაწილი და თუ მას ქართულის სწავლება უნდა მხოლოდ, დამატებით – ქართული. ჩატარებული აპრობაციები შესაძლებლობას მოგვცემს, სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ. ჩვენ ყველანაირი ფორმისთვის ვიქნებით მზად.

## ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2010

წლევანდელ გამოცდებზე ბევრი სიახლე შემოვიდა – ყველა აბიტურიენტი აბარებდა ოთხ გამოცდას, სამი სავალდებულო იყო – ქართული ენა და ლიტერატურა, უნარები და ერთ-ერთი უცხო ენა; მეოთხე სავალდებულო გამოცდა დამოკიდებული იყო იმ კონკრეტულ ფაკულტეტზე, რომელიც აბიტურიენტს მითითებული ჰქონდა სარეგისტრაციო ფორმაში. უმაღლესი სასწავლებელი წინასწარ აცხადებდა მისთვის სავალდებულო გამოცდას. მოგეხსენებათ, შვიდი არჩევითი საგანი გვქონდა, აქედან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ჩაებარებინა აბიტურიენტს.

აქედან გამომდინარე, დაფინანსების წესიც შეიცვალა. აქამდე დაფინანსება მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების მიხედვით იყო, რასაც წლების განმავლობაში არასამართლიანად მივიჩნევდით იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სისტემა ერთ ძალიან მნიშვნელოვან და ძირეულ პრინციპზე იყო დამყარებული – ცოდნისა და უნარების კომპლექსური შეფარდება. თანაბრად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია როგორც უნარები, ასევე ცოდნა, კონკრეტულად – საგნობრივი ცოდნა. მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ უმაღლეს განათლებაზე, სტუდენტზე, რომელიც კონკრეტული დარგის სპეციალისტად უნდა ჩამოყალიბდეს. საბედნიეროდ, წელს უკვე იქნა მიღებული გადაწყვეტილება და გრანტი ოთხი გამოცდის საფუძველზე გაიცა. ამ შემთხვევაში, საერთო თანხა განაწილდა შვიდი საგნის მიხედვით და თითოეულ არჩევით საგანს თავისი ჯიბე, ე.წ. „კალათა“ ჰქონდა. ვინც მათემატიკა ჩააბარა, მათთვის ცალკე თანხა იყო გამოყოფილი, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და არა სხვა საგანჩაბარებულს; ასევე, ვინც ისტორია ჩააბარა – მათთვის ცალკე და ა.შ.

როგორ განაწილდა თანხა? მთლიანი თანხის 1% განაწილდა თანაბრად ყველა ჯიბის მიხედვით, დარჩენილი 99% – უკვე კონკურსის მიხედვით, პროპორციულად. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ისტორია ორჯერ მეტმა აბიტურიენტმა აირჩია, ვიდრე გეოგრაფია, მაშინ ისტორიის კალათაში ორჯერ მეტი თანხა მოხვდებოდა, ვიდრე გეოგრაფიის. აქედან გამომდინარე, თანხა ასე გადანაწილდა: ყველაზე დიდი თანხა შეხვდა მათემატიკის კალათას იმიტომ, რომ, დაახლოებით, 14 000-მდე აბიტურიენტი აბარებდა, შემდეგ მოდის ისტორია, შემდეგ – ლიტერატურა და ა.შ. ყველაზე მცირე თანხა განაწილდა ქიმიასა და ფიზიკაზე იმიტომ, რომ ჩვენდა სავალალოდ, ფიზიკა ჩასაბარებელ საგნად მხოლოდ და მხოლოდ 80-მა აბიტურიენტმა აირჩია 34 ათასზე მეტიდან (ეს უკვე არანაირი პროცენტი აღარ არის). ქიმია – დაახლოებით, 500-მდე აბიტურიენტმა (ესეც ძალიან მცირე რაოდენობაა, დამეთანხმებით).

შედეგი ასეთია: დაახლოებით, 9000-მდე გრანტი გაიცა, აქედან ყველაზე მეტი – 3000-ზე მეტი მათემატიკაჩაბარებულებზე. თუმცა, ბევრი უკმაყოფილო დარჩა. რატომღაც ასეთი ილუზია შეიქმნა, თუ აბიტურიენტი მათემატიკას ჩააბარებდა და გადალახავდა ზღვარს, აუცილებლად ეკუთვნოდა სახელმწიფო გრანტი. თავიანთ შედეგებს ადარებდნენ სხვა საგნების, ვთქვათ, ისტორიაჩაბარებულის შედეგებს და პრეტენზია ჰქონდათ, როგორ მიიღო გრანტი ამა თუ იმ აბიტურიენტმა, როცა უფრო დაბალი ქულა ჰქონდა. ცოტა რთული აღმოჩნდა მშობლებისთვის და აბიტურიენტებისთვის აგვეხსნა, რომ, ამ შემთხვევაში, მათემატიკაჩაბარებული ისტორიაჩაბარებულს არ ეჯიბრება, მას თავისი თანხა აქვს გამოყოფილი. საბოლოო ჯამში, 8000-მდე აბიტურიენტი ჩაირიცხა, ვინც მათემატიკა ჩააბარა და ბუნებრივია, ყველა ვერ დაფინანსდებოდა, გარკვეული რაოდენობა გრანტის გარეშე დარჩა.

პირადად მე, მიმაჩნია, რომ დაფინანსების ეს სისტემა გაცილებით უფრო სამართლიანია, თუმცა გაუგებრობა მაინც არსებობდა. ვინც ჩვენს ცენტრს მოაკითხა, მას განვუმარტეთ, თუ რატომ არ უნდა შევადაროთ ერთი საგნის საკონკურსო ქულა სხვა საგნებში მიღებულ ქულებს.

**შედეგები**

რაც შეეხება შედეგებს, კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ შედეგებით კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. ჩემს მოსაზრებას, შედეგებთან დაკავშირებით, ოპონენტთა გამოხმაურება მოჰყვა, რომ სურათი კი არ გაუარესდა, პირიქით, გაუმჯობესდა. მაშინ ამ შეკითხვაზე გამცეს ვინმემ პასუხი: როდესაც აბიტურიენტი შემოდგომაზე ირჩევს გამოცდას ჩასაბარებლად, მაგალითად მათემატიკას და მთელი წელი ამ საგანში განსაკუთრებულად ემზადება (მე არ ვსაუბრობ რეპეტიტორზე), ნუთუ სკოლამ ვერ უნდა მოახერხოს იმდენი, რომ ამ მოსწავლემ 14 ქულა მაინც მიიღოს და არ გვქონდეს ისეთი ვითარება, რომ 34-მა პროცენტმა იმ აბიტურიენტებისა, ვინც მათემატიკა ჩააბარა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი (13 ქულა) ვერ გადალახა. აი, ამაზე მაქვს საუბარი და არა იმაზე, ამ აბიტურიენტმა მაღალი ან საშუალო ქულა მაინც რატომ არ მიიღო. არც წინა წლების შედეგებს არ ვადარებ, უბრალოდ კითხვას ვსვამ (და, ალბათ, ეს ლოგიკურია), როგორ ხდება, რომ სკოლა12 წლის განმავლობაში სავალდებულო საგანს ასწავლის მოსწავლეს, უჩენს ილუზიას, რომ იმდენად არის მომზადებული, შეუძლია ეს გამოცდა ჩააბაროს და ის 13 ქულაზე მეტს ვერ იღებს. აი, ეს არის სავალალო შედეგი და ასეთ აბიტურიენტთა რაოდენობა მათემატიკაში 34%-ია, ქიმიაში – 38%, ფიზიკაში – 56%. ფიზიკა საერთოდ ცალკე თემაა – როდესაც მხოლოდ 80 მოსწავლე ირჩევს ფიზიკას ჩასაბარებლად, აქედან ნახევარზე მეტი კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს ვერ ლახავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სკოლებში ფიზიკა საერთოდ არ ისწავლება, როგორც საგანი. რა შედარებაზე და რა გაუმჯობესებაზეა საუბარი, მე არ მესმის. ეს სერიოზული დისკუსიის საგანია და სერიოზული დაფიქრების საბაბი, თუ ჩვენ გვინდა, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება როგორღაც წამოვწიოთ. ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ინჟინერი, მათემატიკოსი საიდან გვეყოლება ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში, მეცნიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ სკოლაში, საშუალო საფეხურზე, ამ საკითხს ვერ მოვაგვარებთ, იმას მაინც ვერ მივაღწევთ, რომ სკოლის ბაზაზე მიღებული ცოდნით აბიტურიენტმა მინიმალური ზღვარი მაინც გადალახოს, კონკურსში მონაწილეობაზე აღარაფერს ვამბობ. წლევანდელი გამოცდების შედეგები პირდაპირი ანარეკლია იმ მდგომარეობის, რაც საშუალო განათლების სისტემაში გვაქვს.

ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა სერიოზული ექსპერტების ჩართვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და სწორი ნაბიჯების გადადგმა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოვიდეთ. მხოლოდ იმაზე საუბრით, რომ ხელი უნდა შევუწყოთ სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლას, პრობლემა ვერ მოგვარდება.

## სამაგისტრო გამოცდები

დაახლოებით, 7500-მდე მსურველი იყო, ზღვარი გადალახა 4300-მა. გამოცდებმა ნორმალურად ჩაიარა. შარშანდელთან შედარებით, დიდი ცვლილება არ არის. ახლა მათ წინ სპეციალობის გამოცდები ელით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგიერთმა უკვე ჩააბარა, დანარჩენებიც გაივლიან გამოცდებს და, ალბათ, ოქტომბრისთვის განაწილდება გრანტები მიმართულებების მიხედვით. საბოლოო სურათი ოქტომბრის ბოლოს გვექნება.

## მომავალი გეგმები

ვიწყებთ მზადებას მომავალი წლისთვის. წელს დიდი გამოწვევები გვაქვს - გარდა ეროვნული გამოცდებისა უნდა მოვამზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდები ყველა საგნის მასწავლებლებისთვის, ასევე, სამაგისტრო გამოცდები, ოლიმპიადები გვაქვს ჩასატარებელი და კიდევ გამოსაშვები გამოცდები, რაზეც უკვე ვმუშაობთ. ეს ჩვენთვის, მართლაც, ძალიან სერიოზული გამოწვევაა, ასეთი დატვირთული წელი ჯერ არ გვქონია და, ალბათ, აღარც გვექნება.

*ესაუბრა*
*ლალი თვალაბეიშვილი*

# ეკოტურნირი მდგრადი განვითარებისათვის

*დღეს აღარავინ კამათობს იმაზე, რომ ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მდგომარეობა საგანგაშოა და მოვლა სჭირდება; არც იმაზე, რომ ეკოლოგიური საზღვრები არ არსებობს. იმისათვის, რომ ცივილიზაცია და გარესამყაროს მოვლა ურთიერთშერწყმულ პროცესად ვაქციოთ მაღალი ეკოცნობიერებაა საჭირო. სწორედ ამას ემსახურებოდა ეკოტურნირი, რომელიც სერვანტესის სახელობის სკოლა ლიცეუმში „აია-GESS“ ჩატარდა. სკოლა-ლიცეუმი მრავალი საინტერესო საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების ორგანიზატორია. რესპუბლიკური კონკურსი ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებში – „საუკეთესო პატარა მთარგმნელი“, ლონდონის საერთაშორისო ცენტრთან ერთად ორგანიზებული კონკურსი BE THE BEST, „კემბრიჯოლიმპიადა“, ლიტერატურული კონკურსი „წიგნი და სამყარო“ იმ კონკურსების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც ყოველწლიურად მასპინძლობს სკოლა-ლიცეუმი. ამ „ჰუმანიტარულ“ კონკურსებს დაემატა საერთაშორისო საბუნებისმეტყველო კონკურსი „ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი (ნეტი)“.*

*საერთაშორისო ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი 2010 წლის 20-27 ივნისს ჩატარდა. მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სკოლების გუნდები.*

*ეკოტურნირი სკოლებს შორის თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარებისათვის ზრუნვის ბრწყინვალე მაგალითია. ტურნირის შესახებ ვესაუბრეთ ერთ-ერთ ორგანიზატორს, სერვანტესის სახელობის სკოლა- ლიცეუმის „აია-GESS“ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, ქალბატონ **დარეჯან ლორთქიფანიძეს**.*




***– ქალბატონო დარეჯან რა არის ეკოტურნირი და რა მნიშვნელობა აქვს მის ჩატარებას?***

– ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი უფროსკლასელთა გუნდური შეჯიბრია, რომელიც მიზნად ისახავს, გამოავლინოს მოსწავლეთა უნარი – გადაჭრან რთული ეკოლოგიური პრობლემები შესაბამისი ფორმით, გამოხატონ თავიანთი აზრი და შეძლონ ამ აზრის დაცვა მეცნიერული დისკუსიის დროს, რასაც „ეკოპაექრობას“ ვუწოდებთ. ეკოტურნირის მთავარი დანიშნულება მოზარდების ეკოლოგიური განათლებაა.

ეკოლოგიური ტურნირი მოსწავლეთა გლობალური ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესების ეფექტური საშუალებაა. ტურნირის პროცესი მეცნიერული განათლების მნიშვნელოვან ელემენტებს მოიცავს და დისკუსიის დროს საკუთარი აზრის გამოთქმისა და მისი დაცვის უნარ-ჩვევებს ავითარებს. ტურნირი ატარებს სპორტული თამაშის ხასიათსაც, რაც მას მეტ მიმზიდველობას ანიჭებს.

ეკოთამაშები მოიცავს განათლების მნიშვნელოვან ელემენტებს – ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, წარდგენა, დისკუსია, დებატი, თვალსაჩინოებისა და ვიდეომასალის მომზადება.

***– როგორც ვიცი, ეკოლოგიური ტურნირის პროექტის ავტორი თქვენ ბრძანდებით. როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ „თამაშებს“?***

– არა, მხოლოდ მე არ ვარ. ეკოლოგთა ტურნირის პროექტს კიდევ სამი ავტორი ჰყავს. ეს იდეა სამ სახელოვან ფიზიკოსს – **გელა გელაშვილს, ალექსანდრე ღონღაძესა** და **ვლადიმერ პავერმანს** ეკუთვნის.

2009 წლის 28 ივნისს ნეტის I რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა. 2010 წლის გაზაფხულზე, თბილისის მერიის, საგანმანათლებლო ქსელის „ჩემი თბილისი“ და ეთნოკულტურული განათლების ცენტრის მხარდაჭერით, ჩატარდა I საქალაქო და საერთაშორისო ეკოტურნირი.





***– რომელი ქვეყნები და სკოლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო ეკოტურნირში?***

– I საერთაშორისო ეკოლოგიურ ტურნირში მონაწილეობდნენ: საქართველოდან – საქალაქო და რესპუბლიკური ეკოტურნირის გამარჯვებული გუნდები: ზესტაფონიდან – №7 საჯარო სკოლა, რუსთავიდან – №24 საჯარო სკოლა; თბილისიდან – №98, №11, №41, №84 საჯარო სკოლები და მასპინძელი სკოლა-ლიცეუმი „აია-GESS” . რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, აზერბაიჯანიდან აკადემიკოს ზარიფა ალიევას სახელობის სკოლისა და სომხეთიდან მხიტარ სებასტაცის საგანმანათლებლო კომპლექსის ნაკრები გუნდები თამაშობდნენ. წელს, შეზღუდული ფინანსების გამო, სხვა ქვეყნებს მონაწილეობა ვერ შევთავაზეთ, ნეტი-2011 შავი ზღვის აუზის ქვეყნების მონაწილეობით იგეგმება.

***– როგორია ეკოთამაშის წესები?***

– ყოველ ეკოპაექრობაში სამი გუნდი მონაწილეობს და გამოდის სამ როლში: მომხსენებელი, ოპონენტი და რეცენზენტი. თითოეული თამაში მინი-დისერტაციის დაცვაა, მონაწილენი „მეცნიერობანას“ თამაშობენ. ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ჟიური გუნდებს ათქულიანი სკალით აფასებს, გამარჯვებული მოცემული ეკოპაექრობის ყოველ ეტაპზე განისაზღვრება და ნახევარფინალში გადადის. ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები ფინალში თამაშობენ და საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან. ნეტი-2010-ში 11 ეკოლოგიური ამოცანა გათამაშდა. საერთაშორისო ტურნირის სამუშაო ენა ინგლისურია.

***– როგორ დაკომპლექტდა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი და ჟიური?***

– საორგანიზაციო კომიტეტსა და ჟიურიში საკმაოდ კომპეტენტური და ახალგაზრდების ეკოგანათლებით დაინტერესებული პირები გაერთიანდნენ: **შოთა მაღლაკელიძე** – თბილისის მერიის კულტურისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელი; **ალექსანდრე ღონღაძე** – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; **ვლადიმერ პავერმანი** – ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკის ინსტიტუტის საგარეო სამეცნიერო ურთიერთობების ხელმძღვანელი; **მაია ცინცაძე** – პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი, არაორგანული და ანალიზური ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი; **თამარ ცინცაძე** – პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის მიმართულების ხელმძღვანელი; **გიორგი ქვაბზირიძე** – ეთნოკულტურული განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი; **გია აბრამია** – არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო ეკოლოგიური ცენტრი“ დირექტორი.

***– რომელი სკოლებია ნეტი-2010-ის გამარჯვებულები?***

– აზერბაიჯანის ზარიფა ალიევას სკოლა, თბილისის №84 და №41 საჯარო სკოლები და სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ნაკრები გუნდები გავიდნენ საპრიზო ადგილებზე.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ **შოთა მაღლაკელიძესა** და **ქეთევან ტრაპაიძეს** რომელთა დამსახურებაცაა ნეტი-2010-ის ასეთი დიდი წარმატება.

*ნეტი-2010-ის შთაბეჭდილებების წიგნი სავსეა აღფრთოვანებული, მადლიერებისა და სიყვარულით სავსე ჩანაწერებით. ეკოტურნირის მონაწილეებისა და მასპინძლებისათვის ეს დაუვიწყარი დღეები იყო. ეკოტურნირის ერთკვირიანი პროგრამა, ეკოთამაშების გარდა, მოიცავდა ნაციონალური კულტურის საღამოებს, ექსკურსიებს მცხეთასა და თბილისში, დისკოტეკებსა და მასპინძელი სკოლის მოსწავლეების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებს. ახალგაზრდებისათვის დაუვიწყარ ზეიმად იქცა ტურნირის გამარჯვებულთა დაჯილდოება, კონცერტი, ფეიერვერკები. გამოთხოვების საღამოს გლდანის სექტორის ერთ პატარა მაღლობზე მდებარე სკოლის ეზოდან ზეცაში აიჭრა დედამიწისა და გულის ფორმის ორი საჰაერო ბურთი, ახალგაზრდების შეძახილით – WE LOVE OUR EARTH.*

*გახსოვდეთ: „ზღვამ რომ მიწის ერთი ბელტიც წალეკოს, ევროპას ისევე დააკლდება, როგორც კონცხს, ან როგორც შენი მეგობრის კარ-მიდამოს, ან თვითონ შენსას“ (ჯონ დონი).*

*ესაუბრა სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმის „აია-GESS“ ჟურნალისტთა სტუდიის წევრი, VIII კლასის მოსწავლე*
***ელენე დარციმელია***

რეგიონი

# სიახლეები ვითარების სერიოზულ ანალიზს დაეფუძნება



**გია აბულაძე** – დამთავრებული აქვს ბათუმის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი ბიზნესის სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა „აჭარის ელექტროკავშირისა“ და კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს იურისტ-კონსულტანტად; იუსტიციის დეპარტამენტის სახელმწიფო რეგისტრაციის განყოფილების უფროსად, ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად, არის ბათუმის საკრებულოს წევრი და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრად დაინიშნა 2010 წლის 2 აგვისტოს.

ერთ თვეზე ცოტა მეტია, რაც ამ პოსტზე ვმუშაობ. ამიტომ დეტალურად ვერაფერს ვიტყვი სამომავლო გეგმებზე ან რომელიმრე პირად ინიციატივაზე, ამისთვის დრო მჭირდება. წლევანდელი სასწავლო წლისთვის ბევრი სიახლე შემოგვთავაზა საქართველოს განათლების სამინისტრომ, ბუნებრივია, ისინი განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებშიც. მაგალითად, პირველკლასელთათვის კომპიუტერების გადაცემის პროგრამა ბათუმის 18-ვე საჯარო სკოლაში დაიწყო – წელს 1300-მდე პატარა პირველად მიუჯდა სასკოლო მერხებს. ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა მზადება კიდევ ერთი სიახლის – სპორტის გაკვეთილების შემოღების გამო. სამინისტრო ყოველმხრივ დაეხმარება სკოლებს ამ მიმართულებით განვითარებაში, ეს გრძელვადიანი პროგრამაა, უკვე შეირჩა საპილოტე სკოლები პედაგოგების კვალიფიკაციისა და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით. ვფიქრობ, აქცენტს ამ კუთხისათვის დამახასიათებელ სახეობებზე გავაკეთებთ – ჭიდაობა, ჭადრაკი, მშვილდოსნობა... ამ საქმეში უსათუოდ ჩაერთვებიან ადგილობრივი თვითმმართველობები, რადგან მათი მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში, სკოლის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა; 45 მოხალისე ინგლისური ენის მასწავლებელი განაწილებულია რეგიონის სკოლებში, მეორე ეტაპზე პროექტში ჩაერთვებიან ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქედის, ქობულეთის საჯარო სკოლები.

მოგეხსენებათ, ახალი სასწავლო წლიდან დამამთავრებელ კლასებში სახელობო სწავლება აღარ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ძალიან კარგი საქმეა, როცა ახალგაზრდა ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად რაიმე პროფესიას, ხელობას ეუფლება, მაგრამ, სხვადასხვა ფაქტორების გამო, შედეგი ვერ მივიღეთ. ამიტომ ახალი სასწავლო წლიდან არც სახელობო განათლება იქნება სკოლებში სავალდებულო. თუ რომელიმე სკოლა ავტორიზაციის გავლის შემდეგ დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, სახელობო სწავლების უფლებასაც მიიღებს და შესაბამის დიპლომსაც გასცემს. თუმცა ამ მხრივ კარგად ვითარდება კერძო სექტორი. ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდა ორი სახელოვნებო სკოლისგარეშე სასწავლებელი ფოლკლორის განხრით, ორიც ხატვის, კერამიკის, ხის დამუშავებისა და მინანქრის შემსწავლელი.

რაც შეეხება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის საკითხს, ამ მიმართულებით მუშაობს მიზნობრივი პროგრამა – ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში, მიმდინარე წელს, ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 2 116 912 ლარი. პროგრამის ფარგლებში, ბათუმის მე-6 საჯარო სკოლაში, ჩატარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მე-19 და მე-6 სკოლების ოპტიმიზაციის შედეგად მე-6 სკოლაში კეთილმოეწყო და აღიჭურვა სათანადო ფართი ინკლუზიური ჯგუფისთვის. სხვადასხვა სახის სამუშაოები ჩატარდა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზედა წინსვლის, ქედის მუნიციპალიტეტის ახოს №1, შუახევის ხიჭაურის, ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთისა და ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლებში. ამ უკანასკნელში სამუშაოები დეკემბრისთვის დასრულდება.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით სწრაფი ტემპით ვითარდება კერძო პროფესიული სასწავლებლების ქსელი. მარტო საზღვაო დარგის 4 სასწავლებელია ბათუმში.

მინდა ჩვენი მოსწავლეების სპორტულ მიღწევებზეც ვისაუბრო. მიმდინარე წლის 3-8 აგვისტოს, სარაევოში, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო 16-26 აგვისტოს სინგაპურში – მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები თავისუფალ ჭიდაობაში. ორივეგან ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. **ფირუზ წულუკიძემ** (63 კგ.) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში I ადგილი მოიპოვა, ხოლო **ირაკლი მოსიძემ**, **ედნარ** და **ამირან შავაძეებმა**, **ლაშა გობაძემ** III ადგილი დაიკავეს. მსოფლიო ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე კი **ირაკლი მოსიძე** III ადგილის მფლობელი გახდა (მწვრთნელები: **სულიკო ქოქოლაძე** და **ლევან შავაძე**).

ასევე გეგმაში გვაქვს პროფილური სკოლების გახსნა. მთავარი აქცენტი გაკეთდება ჩვენი პანსიონების წესრიგში მოყვანისა და სათანადოდ აღჭურვისათვის. ხელვაჩაურის პანსიონი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სტანდარტთან მიახლოებისთვის ბევრი რამაა გასაკეთებელი შუახევის, ქედისა და ქობულეთის პანსიონებში.

ახლა სამინისტრო ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობს. ვაგროვებთ მასალებს განათლების დარგის ყველა მიმართულების შესახებ. გვინდა საზოგადოებას წარვუდგინოთ განათლების სისტემის შემდგომი განვითარების ჩვენეული ხედვა, არსებული ვითარების სერიოზული ანალიზის შედეგად. არის მიღწევები, მაგრამ არის პრობლემებიც, მათ შორის, სკოლების ოპტიმიზაციის მხრივაც. კონკრეტულად, ჯერჯერობით, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ წარმოვადგენთ ცვლილებების პროექტს ზოგადი განათლების კანონსა და ახალ საგადასახადო კოდექსში სპორტისა და კულტურის შემდგომი განვითარების მიზნით, რათა სახელმწიფომ ფული დახარჯოს მხოლოდ კონკრეტულ შედეგზე.

*ესაუბრა*
*ანა ფირცხალაიშვილი*

* * *

14 სექტემბერს ლანჩხუთში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში საიუბილეო მე-15 სასწავლო წელი დაიწყო. ახალ სასწავლო წელს სასულიერო გიმნაზია სიახლეებით ხვდება. პირველ კლასში 28 მოსწავლე მიუჯდება მერხს. გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგემ, **ლევან გიორგაძემ** გვითხრა: *„ყველა პირველკლასელს დირექტორატმა გიმნაზიის სახსრებით შეუძინა სასწავლო წიგნები და საზეიმო ვითარებაში გადასცა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრ ბავშვებს სასკოლო წიგნები უფასოდ გადაეცა. გიმნაზიაში 300 მოსწავლე ირიცხება. მოსალოდნელია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მათი რიცხვი კიდევ გაიზარდოს. გიმნაზიას ორი ახალი პედაგოგი შეემატა, ინგლისური ენის მასწავლებლები:* ***თამარ ჯორბენაძე*** *და* ***ნანა ორმოცაძე****.*

*წელს 21-მა მოსწავლემ დაამთავრა გიმნაზია და ყველა უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყო, მათგან ცხრამ გრანტი მიიღო, მათ შორის ასპროცენტიანი დაფინანსებითაც. გიმნაზიაში თითქმის დამთავრდა სასპორტო დარბაზის მშენებლობა. მხოლოდ სკამების დამონტაჟებაა დარჩენილი, რაშიც ადგილობრივი ხელისუფლებისგან ველით ფინანსურ მხარდაჭერას. წელს საიუბილეო მე-15 წელია და გიმნაზია უახლოეს მომავალში ამ დღისადმი მიძღვნილი დიდი ღონისძიების გამართვას გეგმავს“.*

ახალი სასწავლო წლის დაწყება ორმაგად სადღესასწაულო აღმოჩნდა სასულიერო გიმნაზიისთვის. სასწავლო დაწესებულების დამფუძნებელმა და მისმა საუკეთესო პედაგოგმა, **რუსუდან ზენაიშვილმა** გაწეული ამაგისა და ღვაწლის აღსანიშნავად უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორისგან სიგელი მიიღო. ეს ნამდვილად დიდი პატივია და სასულიერო გიმნაზიის დიდი გამარჯვებაცაა.

*თამაზ იმნაიშვილი*

* * *

ნიგოითის საჯარო სკოლაში წლევანდელი სასწავლო წელი მოსწავლეთა აშკარა სიმცირით დაიწყო. დიდი ტრადიციების მქონე, ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთ წარმატებულ სკოლაში 15 სექტემბერს მხოლოდ ხუთმა პირველკლასელმა შეაღო სკოლის კარი, აქედან 4 გოგონაა და ერთი ვაჟი. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნატო მათითაშვილმა** ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა მოსწავლეებს (მოსწავლეთა რაოდენობა 190-მდეა), მათ მშობლებსა და პედაგოგებს. პირველკლასელებმა კი ლექსები წაიკითხეს.

* * *

ნიგოითის მკვიდრის, გაზეთ „ლელოს“ ყოფილი კორესპონდენტის, ბატონ **ავთანდილ ორმოცაძის** ინიციატივით, ნიგოითის საჯარო სკოლის ბაზაზე შექმნილი გოგონათა საფეხბურთო კლუბი „გურია“ არაერთი ტურნირის გამარჯვებულია.

2010-2011 წელს ტარდება ევროპის შესარჩევი ტურნირი 15 წლამდე გოგონათა შორის. ზუგდიდში, „ბაიას“ საფეხბურთო ბაზაზე, 15 წლამდე გოგონათა ნაკრების დაკომპლექტებისათვის, გაიმართა კანდიდატების შერჩევა-დამტკიცება.

ქალთა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის, **ნინო სორდიას** მოთხოვნით, კლუბ „გურიადან“ სინჯზე გაიგზავნა **ანა კვაჭაძე**, რომელიც მწვრთნელთან ერთად ჩავიდა ზუგდიდში. 40 მონაწილიდან შეირჩა 16, მათ შორის იყო ანაც. მანამდე კი გაიმართა საკონტროლო თამაში. შეხვედრის მე-20 წუთზე ბატონ ავთოს უთხრეს – შეგიძლია, ანა გამოიყვანო თამაშიდან, ახლავე მოუმზადო საბუთები ჰოლანდიაში გასამგზავრებლადო. ყველა ერთხმად აღნიშნავდა ანას ტექნიკას და რეკომენდაციაც მისცეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, **გერონტი ნაჭყებიას**, ანასთვის მიეცა ნახევარმცველის (გამთამაშებლის) რთული და მნიშვნელოვანი პოზიცია.

ნაკრების წევრებმა ანა კვაჭაძე ერთხმად აირჩიეს გუნდის კაპიტნად.

# ახალი სკოლა ორიგინალური არქიტექტურით



სოფელი გავაზი ერთ-ერთი დიდი და ლამაზი სოფელია ყვარლის რაიონში. მას, ერთი მხრიდან, ბუმბერაზი მთები გადმოჰყურებს, ხოლო მეორედან – ფართოდ გაშლილი ალაზანი მიიკლაკნება. უკანასკნელ წლებში ჩვენი სოფელი უფრო დამშვენდა – მოასფალტებული გზები, მოჩხრიალე ჭაბურღილები, ბუნებრივი გაზი. სოფელს ერთი სიკეთე აკლდა – ახალი სკოლა.

სკოლის დირექტორის, **პაატა ბერიაშვილის** ენთუზიაზმმა, გაცვლითმა პროგრამებმა როგორც ქვეყნის გარეთ (აშშ-სა და ეგვიპტეში), ისე ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა პროექტებში აქტიურობამ, სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გაუნელებელმა ინტერესმა შედეგი გამოიღო – მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, პროექტ „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, შენდება ახალი სასკოლო შენობა.

2008 წლის მაისში დაიწყო მშენებლობა, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, დროებით შეჩერდა. სკოლა და სოფელი უიმედობამ მოიცვა, მიმდინარე წლის აპრილიდან მშენებლობა განახლდა (მშენებლობას აწარმოებს შ.პ.ს. „იმერეთი – 2000“ და შ.პ.ს. „მშენებელი-80“, რომლის წამყვანი სპეციალისტები არიან: სულიკო ბასილაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გოგი ბუჩუკური, მირიან გვენეტაძე, გოჩა გვენეტაძე).

სკოლის საერთო ფართია 6000 კვ. მეტრი, თითოეული ოთახის ფართობი – 64 $მ^2$, სიმაღლე – 3,2 მ.

სკოლას აქვს: გარდერობი 221 მოსწავლეზე, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი 250 მოსწავლეზე, სასადილო 180 მოსწავლეზე. იქნება ავტონომიური გათბობა როგორც გაზზე, ასევე დიზელის საწვავზე. შენობის ფორმა, ჰორიზონტალურ ჭრილში, გადაშლილ წიგნს წარმოადგენს. დამონტაჟდება როგორც ლითონის დეტექტორები, ასევე ვიდეოთვალი. უკვე შემოტანილია სასკოლო ინვენტარი.

სკოლას ხშირად უწოდებენ ცოდნის ტაძარს და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან სწორედ აქ ხდება მომავალი თაობის აღზრდა-გამოწრთობა. ძნელია იყო მასწავლებელი, თუკი ამ პასუხისმგებლობას აცნობიერებ, მაგრამ ბავშვებთან ურთიერთობა გაცილებით იოლია, როდესაც ლამაზ სკოლაში მუშაობ. მიხარია, ჩემს მშობლიურ სოფელ გავაზში ორიგინალური არქიტექტურით გამორჩეული სკოლა რომ შენდება. ცხელი ზაფხულის მიუხედავად, სულმოუთქმელად ველოდებოდით ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ვიმედოვნებთ, ახალი წარმატებებით, ენერგიითა და შემართებით, კარგი სწავლით სკოლასა და მშობლებს ვასახელებთ.

*სალომე ბებურიძე*
*ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე*

## სასერტიფიკაციო გამოცდები

# ისევ გამოცდები...

2009 წლის სექტემბერი... გამოცდების პირველი ეტაპი ზაფხულში ჩატარდება. ვინ გავა გამოცდაზე? გონება ცდილობს ამ ინფორმაციას გულგრილად შეხვდეს, არ გამოდის. მართალია, ნებაყოფლობითია, მაინც... გონება ელვის სისწრაფით ალაგებს, გაკვეთილის გეგმის მსგავსად, მიზნებსა და შედეგებს. მიზანი: საკუთარი თავი ხომ უნდა გამოვცადო, მაინტერესებს, რა იქნება ისეთი... შედეგი: სერტიფიცირებული მასწავლებელი იქნები, 8 წელი ვერავინ შეგეხება... იქნებ ხელფასიც მოგიმატონ?

2009 წელი, ოქტომბერ-ნოემბერი... ტრენინგები ყოველ შაბათ-კვირას, კვირის დანარჩენი დღეები ისედაც დაკავებულია, დილით – სკოლაში, საღამოს – მეცადინეობა, დავალებების შესრულება, შაბათ-კვირას – ისევ ახალი დავალებები... ბევრი სიახლე, ახალი ადამიანები, ახალი აზრები, ახალი ინფორმაცია, ბევრი კითხვის ნიშანი მაინც! ბრუნერი, მასლოუ, კონკურენტული სწავლა, გარდნერის ინტელექტის თეორია, პიაჟეს კოგნიტური სქემები... შიში, ეს ტრენინგები არ არის საკმარისი, მეტი ვარჯიშია საჭირო, რათა გონებამ გაითავისოს ზღვა მასალა და თავად გააკეთოს აღმოჩენები. თავს ვიმშვიდებ, ზაფხულამდე დიდი დროა, თუ არადა, არავინ მაძალებს...

2010 წელი, თებერვალი... საპრობაციო ტესტირება პროფესიულ უნარებში... არც ისეთი საშინელება ყოფილა, როგორც ველოდი, თუ მოინდომებ, დაწერ. ყველა დაწერს, თუ ტრენინგებს გაივლის... ვითომ? (ახლა 2010 წლის აგვისტოა, ბოლო მონაცემებით 10000 პედაგოგიდან მხოლოდ 1253-მა გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი პროფესიულ უნარებში).

2010 წელი, მარტი... პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის რეგისტრაცია იწყება. პასუხისმგებლობა მატულობს, თუ გაივლი რეგისტრაციას, უკან ველარ დაიხევ, მერედა ხარ მზად გამოცდისთვის? ვიღაც გიჩიჩინებს შინაგანად, უნდა გახვიდე, იქნებ პირველ ეტაპზე უფრო მარტივად იყოს?! მაინც მოგიწევს ამის გაკეთება, იქნებ გაგიმართლოს!

2010 წლის ივნისი... რაღა დარჩა, გამოცდების გრაფიკი უკვე ცნობილია: 13 და 19 ივლისი, დროა, გადავდო ყველაფერი და სერიოზულად მოვემზადო, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად უნდა განვეწყო დადებითად (მახსენდება უზნაძის განწყობის თეორია), რათა დადებითი შედეგი მივიღო. სად არის მერე ამის დრო? სწავლა მთავრდება ივნისის ბოლოს, ნიშნების გამოყვანა და ჟურნალებში გადატანა, დამრიგებელიც თუ ხარ, 3 დღე დამატებით გჭირდება ნიშნების ფურცლის შესავსებად, წლიური და საფეხურის ნიშნების გამოსაყვანად... ქართულის გამოცდაზე სულ აღარ ვფიქრობ, აქცენტი მაინც პროფესიულზეა გადატანილი, რადგან ეს უცხოა მაინც უმეტესობისათვის, ქართული თითქოს ვიცი...

2010 წელი, 13 ივლისი... დღის 2 საათი... ისეთი სიცხეა, გარეთ რომ გახვიდე, გამოცდაზე რომც არ მიდიოდე, მაინც გული შეგიწუხდება. სხვა რა გზაა?! ტაქსი აჩერებს „გეპეის“ (ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის) შენობასთან, იმდენი ხალხია, გული მისკდება, ნეტავ ყველა აბარებს, თუ ზოგი გულშემატკივარია? (მავიწყდება, აბიტურიენტი რომ აღარა ვარ და რომ მშობელი სახლში მელოდება). რეგისტრაციის დაწყება გადაიდო ნახევარი საათით, ისე ცხელა, მართლა მგონია, რომ თვალთ მიბნელდება და გონება მებინდება. რაღა უნდა დავწერო, სახლში ხომ არ დავბრუნდე?

გველირსა, როგორც იქნა, შენობაში შესვლა, მართალია, კონდიციონერები არ არის, მაგრამ მაინც გრილა. ტესტები დალუქულია, 5 საათი გვაქვს დრო. დაიწყო დროის ათვლა...

3 საათში დავამთავრე, რა ვიცი, ჩემი აზრით, ნორმალურად დავწერე, თავს ვიმშვიდებ, ყველა კმაყოფილია თითქოს, ისეთებიც კი, რომ არ უმეცადინიათ, მე რა ღმერთი გამიწყრება, 43 ქულა მაინც ვერ მოვაგროვო?! მაინც ეჭვებში ვარ. მეორე დღეს სამსახურში დიალოგების უცვლელი თემაა: 15-ის პასუხი გახსოვს? მგონი დ) უნდა შემომეხაზა და ა) შემოვხაზე, ვაიმე, რაღა ვქნა, ჭეშმარიტსაც მივუწერე განმარტება და მცდარსაც, ის ბავშვი მე-17 დავალებაში ინკლუზიური იყო თუ ჰიპერაქტიული და ა. შ.

2010 წლის 19 ივლისი... დილის 8 საათი... სიგრილეა, მაგრამ ისევ გამოცდების ციებ-ცხელებაა, ამჯერად, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები ცდილობენ საკუთარი ძალების მოსინჯვას. 4 საათი და 45 წუთი დამჭირდა, საათს გაოცებული შევყურებ, როგორ გაფრინდა დრო, ვერც გავიგე, არ მეგონა, თუ ამდენ ხანს მოვანდომებდი. მთელი დღე ტვინი გამალებით მუშაობს, გამოგრჩა რაღაც, ნერვიულობ, საწერი ბევრი იყო, ნეტავ გაიგებენ ჩემს ნაწერს?

აგვისტო მოლოდინის რეჟიმში გავიდა, ჯერ 20-ისთვის ველოდით პასუხებს, მერე 25 აგვისტოსთვის გადაიდო, მღელვარებამ პიკს მიაღწია, როცა გამოაცხადეს: 10000 პედაგოგიდან მხოლოდ 1147-მა მოიპოვა სერტიფიკატი, ქართული ჩააბარა 702-მა. რაღა მეშველება ახლა? რიცხვების უსაშველო კორიანტელში ვიძირები: თუ სულ 6054 აბარებდა ორივე გამოცდას, მაშინ გამოდის, რომ ყოველმა მეექვსემ ჩააბარა, რა ზღაპრებს ყვები, 1147 ხომ 10000-ის 11 პროცენტია... მერე რა გინდა... და უცებ შედეგებს ვკითხულობ: ჩავაბარე... გამიმართლა... მიხარია... ძალიან მიხარია... გამარჯვების სიხარული ტკბილია ძალიან, ვიღებ მილოცვებს, მიხარია! ყველას მინდა მივულოცო!

როგორ მინდა, ყველას, ვინც იშრომა, მოინდომა, მოემზადა – გაუმართლოს, მჯერა, ყველა შეძლებს ამას და მიაღწევს წარმატებას!

***ქეთი ქათამაძე***

*144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი*

* * *

ვასწავლი ცაგერის რაიონის ღვირიშის საჯარო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას. მაქვს 31 წლის მუშაობის სტაჟი. მასწავლებლად მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტმა დავიწყე. ძალიან მიყვარს სკოლა და ბავშვები. განსაკუთრებით მსიამოვნებს საკუთარ თავზე მუშაობა, ცოდნის გამდიდრება და სიახლეების ძიება.

მართალია, სოფლის სკოლაში ვასწავლი და სანიმუშო პირობები არ გვაქვს, მაგრამ თუ მოინდომებ, აქაც შეიძლება ბავშვებს კარგი ცოდნა მიაღებინო, განსაკუთრებით ჩემს საგანში. ვცდილობ, ბავშვებს შევაყვარო წიგნი და საერთოდ კითხვა. ჩემი მოსწავლეები ჩემი ბიბლიოთეკით სარგებლობენ. მათთვის ჩემი სახლის კარი მუდამ ღიაა. შედეგიც სახეზეა – კითხვა უკვე ბევრი მათგანისთვის მოთხოვნილებადაა ქცეული. რამდენჯერმე გაიმარჯვეს სასკოლო, სარაიონო თუ რესპუბლიკურ ტურებსა და ოლიმპიადებში, ასევე სხვადასხვა კონკურსებში. შარშან, აგვისტოს ომის თემასთან დაკავშირებულ კონკურსში ჩემი მოსწავლის თხზულება საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

ბავშვები ჩართული მყავს ფოლკლორული მასალების შეკრებაში. ჩვენი ლიტერატურის წრის წევრების მიერ შეკრებილმა მასალამ გაიმარჯვა რაიონში და წრის წევრი, თბილისში, სამახსოვრო დიპლომით დააჯილდოვეს.

მეც ძალიან მიყვარს კითხვა. წინა ატესტაციაზე, რომელიც 1996 წელს ჩატარდა, უმაღლესი კატეგორია მომანიჭეს, ხოლო შარშან პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტიც გავხდი. ვცდილობ, თავი არ შევირცხვინო და ბავშვებთან მოუმზადებელი არ გამოვცხადდე. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებზე არ გავიდოდი. სოფლის სკოლის მასწავლებელს ძალიან უჭირს ტრენინგების გავლა, მანძილისა და სიშორის გამო. როგორღაც მოვახერხე და ტრენინგები ქუთაისში გავიარე. ძალიან კმაყოფილი ვარ ორგანიზაცია „ლიბოს“ მიერ მოვლინებული ფსიქოლოგებისა და პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ ჩატარებული ტრენინგებით. ლექციები ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ ასე კმაყოფილი არასოდეს დავრჩენილვარ. ჩემთვის ეს ტრენინგები გზის მომცემი იყო, უკვე ვიცოდი, რა წამეკითხა, რაზე გამემახვილებინა ყურადღება, რა იყო ძირითადი და მთავარი. ძალიან ძნელი და დაუძლეველი რომ მეჩვენებოდა ახალი ავტორები, თურმე არც ისე დაუძლეველი ყოფილა.

ძალიან დიდია განსხვავება წინა ატესტაციასა და ამ გამოცდებს შორის. წინა ატესტაციაზე მხოლოდ ცოდნის დონე იყო განმსაზღვრელი, ახლა კი – როგორ მიიტან შენს ცოდნას მოსწავლეებამდე. ძალიან სახალისოა ახლებურად მუშაობა. თითქოს, ახალიც არ არის, ამას ადრეც ვაკეთებდით, მაგრამ სახელი და ფორმულირება არ გვქონდა მოძებნილი. ძალიან მომეწონა ნაწარმოებიდან პრობლემების და თავისებურებების განსაზღვრა, შემდეგ კი მათი გადაჭრის გზებისა და მეთოდების გამოყენება. ჩემთვის სასიამოვნო იყო ტექსტის მხატვრული ანალიზი, ასევე წაკითხულის გააზრება, რეზიუმეს დაწერა. უნარებში ყველაზე ნაცნობი იყო (ალბათ, ყველა პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის) საქაღალდე, რომელსაც საკმაოდ მაღალი ქულები ჰქონდა.

ჩემი აზრით, საკითხები საკმაოდ ბევრი იყო. თუ მომავლისთვის საკითხები არ შემცირდება, მაშინ იქნებ დრო დაემატოს, 1 საათი მაინც. რაც შეეხება რეჟიმს, ჩემთვის მისაღები იყო. მქონდა ძალიან წყნარი გარემო, მუშაობისთვის საუცხოო პირობები. არავინ მიშლიდა ხელს, განსხვავებით წინა ატესტაციისგან, როცა ირგვლივ მყოფი მასწავლებლები განუწყვეტლივ რაღაცას მეკითხებოდნენ და აზრს მაწყვეტინებდნენ. არც გადალაპარაკება შეიძლებოდა და, თავისთავად, საკუთარ თავზე მუშაობისთვის იდეალური გარემო იყო. სხვანაირად, დროში ვერ ჩავეტეოდი. ასე რომ, სათანადო მომზადებამ და შესაფერისმა საგამოცდო გარემომ წარმატება მომიტანა.

***ლეილა ფრუიძე***

*ცაგერის რაიონის ღვირიშის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

* * *

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებული მღელვარება საკმაოდ მშვიდად დასრულდა. პროფესიული უნარებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ტესტები არ შეიცავდა უცნობ, ბუნდოვან ან განსაკუთრებული სირთულის საკითხებს.

პირადად მე ორივე საგანი წარმატებით ჩავაბარე, მაგრამ მაქვს გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ნაშრომების გასწორებასთან დაკავშირებით.

როგორც მე, ასევე ჩემი კოლეგების უმრავლესობას დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ საგამოცდო კომისიის წევრები მკაცრად არ იცავდნენ შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მითითებებს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო 32-ე დავალების ობიექტურად, გულისხმიერად და პროფესიულად შეფასება, თუმცა აქვე შემიძლია მოვიტანო ბევრი მაგალითი იმისა, რომ ერთი და იმავე შინაარსის პასუხი ზოგ შემთხვევაში დადებითად შეფასდა, ზოგ შემთხვევაში კი – უარყოფითად. პირადად მე ორივე საგანში დაკლებული მაქვს ექვს-ექვსი ქულა ისეთ საკითხებში, რომელთა პასუხები ემთხვევა გამოქვეყნებულ ნიმუშებს. ასეთი შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ ლიტერატურის საგამოცდო კითხვების უმრავლესობა შემფასებელთა სუბიექტური მოსაზრებების გავლენითაა შეფასებული. სასურველი იქნება, მომავალში, ობიექტურობის ხარისხის ამაღლება ამ თვალსაზრისით.

ფინანსური ბარიერის გამო, ზემოთ აღნიშნული შედეგი ვერ გავაპროტესტე. დასანანი იქნება, თუ ქულების რაოდენობა ხელისშემშლელი გარემოება აღმოჩნდება მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად.

გთხოვთ, განგვიმარტოთ სერტიფიცირებული პედაგოგისათვის მენტორის სტატუსის მინიჭების პროცედურა. კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც 30 წლის სამუშაო სტაჟის მქონე მასწავლებელი, უკანასკნელი სამუშაო ადგილის რეორგანიზაციის გამო, ბოლო წლებში სკოლაში არ მუშაობს.

***მარინე უკლება***

*იაკობ გოგებაშვილის მედლითა და ღირსების ორდენით დაჯილდოებული პედაგოგი. ქუთაისი*

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, სამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში **ჯონ ბასმა** და შიდა ქართლის გუბერნატორმა **ზურაბ არსოშვილმა**, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, გორის რაიონის სოფელ ძევერას რეაბილიტირებული საჯარო სკოლა დაათვალიერეს და მოსწავლეებს გაესაუბრნენ.

სოფელ ძევერას საჯარო სკოლა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ფუნქციონირებს. რეაბილიტაციამდე შენობა სრულიად ამორტიზებული იყო. აღდგენითი სამუშაოების შედეგად სკოლაში გამოიცვალა კარ-ფანჯარა, იატაკი, შეიღება კედლები, მოეწყო სველი წერტილები, დამონტაჟდა თანამედროვე გათბობის სისტემა. ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, სკოლას საკუთარი დენის წყარო აქვს, უახლოეს მომავალში ძევერას სკოლის მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტიც.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ძევერას სკოლასՙახალი მერხები, სასკოლო ავეჯი და 15 კომპიუტერი გადასცა.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, პროექტი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ რაიონებში განხორციელდა და, ნაწილობრივ, აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 1 მილიარდი დოლარიდან დაფინანსდა. პროექტის საერთო ღირებულებამ 2,9 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ თანხით შეკეთდა და გარემონტდა გორისა და ქარელის რაიონების 16 საჯარო სკოლა. გაწეული სამუშაოების შედეგად, დაახლოებით, 3 500 მოსწავლის სასწავლო გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** და „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე **ლადო გურგენიძე**, „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისში, სერტიფიცირებულ მასწავლებლებს შეხვდნენ და ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

სერტიფიცირებული პედაგოგების წამახალისებელი პროგრამის ფარგლებში, „ლიბერთი ბანკმა“ ყველა პედაგოგს, რომლებმაც 2010 წლის ივლისში წარმატებით გაიარა სასერტიფიკაციო გამოცდა შეღავათიანი პირობები შესთავაზა.

ათასზე მეტი სერტიფიცირებული პედაგოგი უფასოდ მიიღებს:

- საკრედიტო ბარათს MAJAC CARD, 500-ლარიანი ლიმიტით და ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით;
- დამატებით 1%-იან სარგებელს ლარში დენომინირებულ ანაბარზე;
- მულტისავალუტო ლიბერთი ანგარიშის საბაზისო პაკეტს უფასოდ, რითაც 18 ლარის დაზოგვას შეძლებს.

ხოლო იმ სერტიფიცირებულ პედაგოგებს, ვისაც ერიცხებათ (ან მომავალში ჩაერიცხებათ) ხელფასი „ლიბერთი ბანკში“, შეეძლებათ დანამატით ისარგებლონ სახელფასო ოვერდრაფტით, შეღავათიანი 18%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით.

განსაკუთრებული შეღავათებით ისარგებლებენ პედაგოგები, რომელთაც ხელფასი „ლიბერთი ბანკში“ ჩაერიცხებათ. დღეისათვის „ლიბერთი ბანკის“ სახელფასო პროგრამაში ჩართულია 55 000-ზე მეტი პედაგოგი და მათი რიცხვი მუდმივად იზრდება.

თვალსაზრისი

# პედაგოგიური პრობლემის პუბლიცისტური ასპექტები

ამ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ტელევიზიის მეორე არხზე, ჩემი აზრით, საინტერესო გადაცემა გაკეთდა. ამ გადაცემის (როგორც ახლა იტყვიან, პროექტის) ავტორი გახლდათ ცნობილი და ერთობ ნიჭიერი ჟურნალისტი **ეკა ხოფერია**.

გადაცემის ავტორმა საზოგადოებრიობის წინაშე განსახილველად გამოიტანა ფრიად მწვავე პედაგოგიური პრობლემა: როგორია ჩვენი ახალგაზრდობის ზოგადი განათლებულობის დონე და შეესაბამება თუ არა იგი საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარების თანამედროვე დაკვეთას.

თუ ყველაფერი რიგზეა, ხომ კარგი, თუ არა, მაშინ რა არის ამ შეუსაბამობის მიზეზი და რაში ხედავთ გამოსავალსო, – პირდაპირ იკითხა წამყვანმა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო იყო გადაცემაში მონაწილეთა შემადგენლობა. გადაცემის ავტორსა და წამყვან ეკა ხოფერიას სტუდიაში მოწვეული ჰყავდა პოეტები, რეჟისორები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, უმაღლესი სკოლების რექტორები და... სკოლის დირექტორი. თითოეული მათგანი თავისთავად საინტერესო პიროვნება გახლდათ და, ბუნებრივია, სასიამოვნო იყო მათი მოსმენა. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ გადაცემაში იმდენად სპეციფიკური პრობლემა იყო დასმული, მერჩივნა მის განხილვაში უფრო მეტ პროფესიონალს მიეღო მონაწილეობა. ისე არ გამიგოთ, თითქოს სტუდიაში მყოფთა პროფესიონალიზმში ეჭვი შემქონდეს, არა, მაგრამ პროფესიონალი პედაგოგი იქ მხოლოდ **გია მურღულია** იყო. მისი მსჯელობაც სწორედ ამაზე მიუთითებდა.

ჩემი საყვედური არამც და არამც ეკა ხოფერიას არ ეკუთვნის. საერთოდ მიაჩნიათ, ჩვენშიც და სხვაგანაც, რომ განათლებაზე საუბარი ყველას შეუძლია. არა და ფიზიკის ან მათემატიკის პრობლემებზე ორგანიზებულ გადაცემაში, არა მგონია, ვინმემ ფილოლოგები, ისტორიკოსები ან ხელოვნებათმცოდნეები მიიწვიოს. სხვათა შორის, განათლების პრობლემებისადმი მსგავსი დამოკიდებულება არ ახალია. ამ საუკუნენახევრის წინ კონსტანტინე უშინსკი სტატიაში „რა სარგებლობა მოაქვს პედაგოგიურ ლიტერატურას" წერდა: *„აღზრდა ბევრს მიაჩნია ადვილ და გასაგებ საქმედ, მით უფრო ადვილად და გასაგებად, რაც უფრო ნაკლებად იცნობენ მას თეორიულად და პრაქტიკულად"*. დღესაც ასეა!

ამის მიუხედავად, გადაცემაში აშკარად გამოიკვეთა პრობლემის სოციალურ-კულტურული ასპექტი.

პრობლემის განხილვას წინ უსწრებდა ახალგაზრდობის (ერთი ნაწილისა, ცხადია!) მიზანმიმართული გამოკითხვა. საერთო სურათი ბევრ რამეზე მწარედ დააფიქრებს კაცს და სტუდიაში მყოფებიც შეშფოთებულნი იყვნენ: ეს რა გაუნათლებელი ახალგაზრდები გვყოლიანო.

შეშფოთდებოდი კაცი, აბა რა, როცა სტუდენტს ილია ჭავჭავაძემ რა დაწერა კი არა, მისი თანამედროვე რობერტ სტურუას სახელიც არ გაუგონია. სადღეისოდ ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის (კავკასიის ბიზნესსკოლის) ხელმძღვანელმა განაცხადა: ჩემს პირველკურსელ სტუდენტებს რომ ვკითხე, რამდენ ზღვაზე აქვს გასასვლელი საქართველოსო, ზოგმა მიპასუხა – ხუთ ზღვაზეო. აბა, ჩამომითვალეთო, რომ მოვთხოვე, მიპასუხესო: თბილისის, ბათუმის, ქობულეთის, ურეკისა და გაგრის ზღვებზეო. სიტუაცია იმდენად მძიმე იყო, რომ ამაზე სტუდიაში არავის გაცინებია.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გია მურღულიას წამოჭრილი მოსაზრება – ახალგაზრდამ ზოგადი განათლების რაღაც აუცილებელი მინიმუმი უნდა აითვისოსო, ყველას განხილვის საგნად იქცა, თუმცა, საერთო შეფასებამდე არ მისულან.

გადაცემის ბოლოს ეკა ხოფერიას მიერ დასმულ კითხვას: გამოსავალს რაში ხედავთო, კონკრეტული პასუხი ვერ გაეცა, თუმცა ცალკეული საყურადღებო მოსაზრებები გამოითქვა.

დარწმუნებული ვარ, გია მურღულიას წამყვანის მიერ დასმულ კითხვაზე კომპლექსური პასუხი ჰქონდა, მაგრამ სტუდიაში მოწვეული საზოგადოების სპეციფიკას გაუწია ანგარიში და... გაჩუმება არჩია. ამას ინტუიცია კი არ მალაპარაკებს, არამედ იმის ცოდნა, რომ გია მურღულიამ ამ თხუთმეტიოდე წლის წინ გამოაქვეყნა ფრიად საყურადღებო ნაშრომი – „ვინ უნდა გაზარდოს ქართულმა სკოლამ". აი, ამ ნაშრომის ავტორს, ცხადია, ექნებოდა პასუხი წამყვანის მიერ დასმულ ზემოაღნიშნულ კითხვაზე. თუმცა, ერთი რამე კი თქვა: აუცილებელია დადგენა იმისა, რისი არცოდნა უნდა ჩაითვალოს სამარცხვინოდ.

კიდევ ვიმეორებ, სატელევიზიო გადაცემაში პედაგოგიური პრობლემა მართებულად იყო წამოჭრილი და წამყვანმა სავსებით სწორად დასვა აქცენტები. თუმცა, ჩემი აზრით, პრობლემის გადაჭრის რეალური გზა განხილვის მონაწილეებმა ვერ მონახეს. არსებული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზთა უზოგადეს განსაზღვრებაზე თითქმის ყველა შეთანხმდა: ბავშვის ზოგადი განათლება უნდა უზრუნველყოს სამი ფაქტორის – ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების შეთანხმებულმა ზემოქმედებამ (ერთ-ერთმა მონაწილემ „საზოგადოება" „დროთი" ჩაანაცვლა). „ოჯახმა უნდა შეაყვაროს ბავშვს წიგნი", „სკოლამ უნდა...", „საზოგადოებამ უნდა...", „ბავშვმა უნდა..." და ა. შ.

ჩვენი ტრადიციული პედაგოგიკა ბოლო ათწლეულებში, ძირითადად, თეორიული ასპექტით განიხილავდა იმას, თუ „რა უნდა გაკეთდეს" და ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, „როგორ და რა საშუალებებით გაკეთდეს". ამგვარ თეორიებს, თავის დროზე, **შალვა ამონაშვილმა** „უნდას პედაგოგიკა" უწოდა. ეს ვინმეს შეურაცხყოფა არ არის, ფაქტის კონსტატაციაა. ისე კი, „უნდას" გარეშე არანაირი თეორიული მსჯელობა არ შედგება.

ჩემი აზრით, პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ გვაქვს ნათლად ჩამოყალიბებული აღზრდის კონცეფცია. სწორედ ამიტომ არის სადავო ის, თუ რისი არცოდნა არის სირცხვილი და რისი უცოდინარობა ეპატიება ადამიანს. სატელევიზიო განხილვის ერთმა მონაწილე ახალგაზრდა კაცმა, ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად შენიშნა, არცოდნა შეიძლება მძიმე პრობლემა იყოს, მაგრამ სირცხვილი ვერ იქნებაო. ამა თუ იმ სახის უცოდინარობამ შეიძლება ამა თუ იმ საზოგადოებასთან ადაპტაცია-ინტეგრირებაში შეუშალოს ხელი ადამიანს, თორემ სირცხვილი რატომ უნდა იყოს. ილიას არცოდნა თავისთავად როდია სირცხვილი. ილიას არ იცნობენ ფრანგები და ინგლისელები, გერმანელები და იაპონელები, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ვარცხვინოთ ისინი. მაგრამ ნორმალური ინტელექტის ქართველმა თუ ილია არ იცის, იგი ჭეშმარიტი ქართული საზოგადოების წევრად არ ჩაითვლება, ანუ თუ კაცს ქართველობა უნდა, მან ილიაც უნდა იცოდეს და დავით აღმაშენებელიც, თუ არა და რას სთხოვ?

აღზრდა თუ სისტემატური და მიზანმიმართული პროცესია (რაშიც სრულ ჭკუაზე მყოფ მეცნიერებს ეჭვი არ ეპარებათ არც ჩვენში და არც სხვაგან!), მაშინ ზუსტად უნდა გვქონდეს განსაზღვრული „ვის ვზრდით!". თითქმის სამი საუკუნის წინ, აღზრდის მიზნები და ამოცანები პოეტური ფორმით გენიალურად განსაზღვრა დავით გურამიშვილმა (თუმცა ერთმა დღევანდელმა „მოღვაწემ", აღზრდის საკითხებზე მსჯელობისას, განაცხადა: რაღა დროს გურამიშვილია, ის ხომ სამი საუკუნის წინ ცხოვრობდაო. ამ დროს კი იგი ანტიკურ მოაზროვნეთა მეხოტბეობას ჩემულობს!): *„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო"*. ამ უაღრესად ლაკონურ სენტენციაში აღზრდის მთელი არსია მოცემული.

ჩვენ თუ ქართველს ვზრდით, აღზრდის პროგრამას ისეთი შინაარსით შევავსებთ, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეში ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

ეროვნული ცნობიერება და მასზე დაფუძნებული პატრიოტული შეგნება გაუცნობიერებელ ლიბერალებში ნეგატიურ მოვლენად აღიქმება. აღზრდის ორიენტირი მიმართული უნდა იყოს არა ქართველისა თუ სომეხის, რუსისა თუ ფრანგის, არამედ კაცობრიობის წევრის, მსოფლიო მოქალაქის აღზრდაზეო, – ამბობენ ისინი. ამიტომ აღზრდას საფუძვლად უნდა ედოს არა ეროვნული, არამედ საკაცობრიო ღირებულებანიო.

ამგვარი შეხედულება აღზრდაზე ზოგიერთს შეიძლება ჩვენი დროის აზროვნების მიღწევად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში იგი ძალიან ძველია. როგორც საუკუნეების წინათ, ისე ახლახან, 1920-იანი წლების ბოლშევიკები ამ იდეებს რომ ქადაგებდნენ, ავიწყდებოდათ, რომ ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებანი დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია. ცალკეული ინდივიდი კაცობრიობის წევრად მხოლოდ მაშინ მოიაზრებს თავს, როდესაც მისი თვითშემეცნება განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწევს. აბა, შეიძლება კაცობრიობის წევრად მიიჩნევდეს თავს ის, ვისაც საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციაც ვერ მოუხდენია? ადამიანმა თუ თავისი ვინაობა და სადაურობა (*„ვინ არის, სიდამ მოსულა"*) არ იცის, იგი ამა თუ იმ მიკრო თუ მაკრო სოციალური ჯგუფის, ანუ საზოგადოების წევრი ვერ გახდება: „ვინაობა და სადაურობა" ამ შემთხვევაში მიკუთვნებულობას გულისხმობს. ახალდაბადებულ ბავშვს არანაირი მიკუთვნებულობის განცდა არ აქვს, რადგან მისი თვითცნობიერება ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელია. შემდეგ იგი თავს მიაკუთვნებს დედას (ან იმას, ვინც უვლის). თვითცნობიერების განვითარების კვალობაზე მიკუთვნებულობის არე ფართოვდება: ბავშვი ჯერ ოჯახის წევრებს მიაკუთვნებს (და მიიკუთვნებს) თავს, მერე – სხვა ახლობლებს, შემდეგ – ეზოს, უბანს, სოფელს, თავის გვარს... ბოლოს კი – ერსა და სახელმწიფოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მან თავი კაცობრიობის ნაწილად წარმოიდგინოს. ისე, რომ კაცობრიობის წევრად თავის წარმოდგენა თვითშემეცნების დიალექტიკური განვითარების უმაღლეს დონეზეა შესაძლებელი. ეს შეგნება პოეტურად ბრწყინვალედ გამოხატა აკაკი წერეთელმა: *„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა"*. სწორედ ამ სტრიქონებით იწყება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. ჭეშმარიტად ასეა: სამშობლო თუ ხატად არ გექცა, საკაცობრიო ტაძარში რომელ ხატზე უნდა ილოცო? ან იქნებ საკაცობრიო ტაძარი უხატო და უწმინდანო სალოცავად წარმოუდგენია ვინმეს?

კიო, – დამეთანხმება მსოფლიო მოქალაქეობრივი შეგნების აღზრდის აუცილებლობაში დარწმუნებული ოპონენტი, მაგრამ იქვე ირონიანარევი სერიოზულობით იკითხავს: თუ შეიძლება მითხარით, რას უწოდებთ ეროვნულ ღირებულებასო. რაც მართლაც ღირებულია, იგი თანაბრად ღირებულია ქართველისთვისაც და ჩინელისთვისაც, გერმანელისთვისაც და იაპონელისთვისაც. განა შეიძლება, შაქარი დასავლეთევროპელისათვის ტკბილი იყოს, სამხრეთაღმოსავლეთელი აზიელისათვის მჟავეო, – ჩაიქირქილებს. რა თქმა უნდა, ეგ ეგრეა, მაგრამ ის, რაც სოციალურ თუ ბიოლოგიურ სფეროში საყოველთაო კანონზომიერებას წარმოადგენს, ასევე საყოველთაო კანონზომიერებას როდი ემორჩილება ფსიქიკის (უფრო კი – სულიერ სფეროში) მიმდინარე მოვლენები. სამშობლოს განცდა, ანუ ეროვნული თვითშეგნება შვილისა და მშობლის დამოკიდებულების ანალოგიურია. მშობლის სიყვარული თანდაყოლილი როდია, იგი უნდა აღზარდო ბავშვში. ასევე უნდა აღზარდო სამშობლოს სიყვარული. აბა, ვინმეს თუ წარმოუდგენია ისეთი სრულყოფილი პიროვნება, მეგობრებისა და თანამოძმეთა მოყვარული, ქვეყნის პატრიოტი, რომელსაც საკუთარი დედ-მამის მიმართ არანაირი გრძნობა არ განუცდია. ვერც წარმოიდგენს ვინმე!

ნებისმიერი დამოკიდებულება, მრწამსი, ზოგადად კი – უნარი გარკვეულ, ზუსტად განსაზღვრული ცოდნის საფუძველზე ყალიბდება და ვითარდება. ამიტომ, აღზრდის პროგრამაში გათვალისწინებული თვისებების (დამოკიდებულებების, მრწამსის და ა. შ.) აღზრდის პედაგოგიური პრაქტიკა იმგვარი შინაარსით უნდა დაიტვირთოს, რომლის ბაზაზეც შესაბამისი უნარების განვითარება იქნება შესაძლებელი. ესე იგი, აღზრდის გენერალური მიზანი ის კი არ არის, რაღაც რაოდენობის ცოდნა მივცეთ მოზარდს, არამედ ის, რომ გარკვეული დამოკიდებულება, მრწამსი, სიყვარული ჩამოვაყალიბოთ და განვავითაროთ მასში ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის, საქმიანობის მიმართ. *„ბავშვის გონება ჭურჭელი კი არ არის, რომელიც უნდა აავსო, არამედ ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო!"* (კომენსკი).

ახლა, რაც შეეხება ახალგაზრდობის ზოგად განათლებულობას, რომელიც იმდღევანდელი სატელევიზიო გადაცემის ერთ-ერთი პრობლემა იყო, იგი ცალსახა შეფასებას არ ექვემდებარება.

უდავოა, რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილის ზოგადი განათლება კატასტროფულად დაბალია. პირველ ყოვლისა, ეს უწიგნურობის შედეგია, მაგრამ უწიგნურობის მიზეზი რაღაა?

უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ წიგნს, როგორც ინფორმაციის წყაროს ძალიან ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდნენ ტელევიზიისა და კომპიუტერულ-საინფორმაციო ტექნიკის სახით. მათი უპირატესობა ის არის, რომ ნებისმიერ ინფორმაციას, სამეცნიერო იქნება, პუბლიცისტური თუ მხატვრული, მომხმარებელს სრულიად გათვალსაჩინოებული სახით აწვდის. ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას აკმაყოფილებს საგნებსა და მოვლენებზე ზედაპირული, ზერელე ცოდნა. სიღრმეებში, ანუ არსში წვდომა ერთეულების მოთხოვნილებაა. ამასთან, ადამიანთა ასევე უდიდეს უმრავლესობას ისეთი ინფორმაციის ათვისების სურვილი აქვს. რაც პირადად მისთვის სარგებლის მომტანი იქნება. როგორც წესი, მასისათვის ტელევიზია თუ ინტერნეტი გართობის საშუალებაა და არა ცოდნის (ანუ ინფორმაციის) მიღებისა. ამ აზრით, წიგნი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს კონკურენციას ვერ გაუწევს.

ანგარიშგასაწევი მიზეზია ისიც, რომ ოჯახების უდიდეს უმრავლესობაში წიგნის კითხვის ტრადიციები მოიშალა. ამას ობიექტური სოციალური მიზეზები აქვს და გამიჭირდება, ამაში ოჯახები დავადანაშაულო.

მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სასკოლო განათლებაა. რა თქმა უნდა, როგორც სატელევიზიო განხილვის მონაწილენი აღნიშნავდნენ, დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგთა პროფესიონალიზმს. ცხადია, **სიმონიკა სხირტლაძე** ან **გია მურღულია** თუ გასწავლის ქართულ ლიტერატურას, დიდი სიკეთეა, მაგრამ მასობრივი სკოლა თითო-ოროლა სიმონიკა სხირტლაძის, გია მურღულიას, **ოთარ ხაზარაძის** (ფიზიკა), **დავით გონდაურის** (მათემატიკა), **ნორა ტარიელაშვილის** (გეოგრაფია) იმედად ვერ იქნება. მიზეზთა მიზეზი თვითონ საგანმანათლებლო კონცეფციაშია.

ჩვენს სკოლას, ვიდრე მას საჯაროს დაარქმევენ, ზოგადსაგანმანათლებლო ერქვა. აბა, ნახეთ სკოლის ნებისმიერი საფეხურის ძველი თუ ახალი პროგრამები, ზოგადი განათლების პრინციპზეა აგებული? მათემატიკაში ან ისტორიაში, ლიტერატურასა და ენაში რომ ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს, განა მას ზოგადობისა სცხია რამე? რეფორმის პროცესში ზოგი რამ პრინციპულად შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამებში, მაგრამ ზოგადობის პრინციპის რეალიზაციის მიმართულებით – ნაკლებად.

რაში მდგომარეობს ზოგადი განათლების პრინციპი და რითი განსხვავდება იგი პროფესიული განათლებისაგან?

ხალხური გაგებით, ზოგადი განათლება უფრო მარტივი და იოლად ასათვისებელია, პროფესიული კი უფრო რთული და ძნელად ასათვისებელი. სამწუხაროდ, ასეთი გაგება მეცნიერებმაც გაიზიარეს, განსაკუთრებით იმათ, ვის ხელშიც იყო მოქცეული საგანმანათლებლო საქმე. სწორედ ამიტომ, უკანასკნელ ხანებამდე სასკოლო დისციპლინათა შინაარსი პროფესიული ცოდნის ნიშნით იყო დაშტამპული.

საქართველოს არაერთ სკოლაში მინახავს ისეთი მდგომარეობა, როცა მასწავლებელთა ერთი ნაწილი უფროს კლასებში სწავლებას ერიდებოდა. ანდა განა იშვიათი იყო შემთხვევა, როცა განათლების სამინისტროდან სკოლებში გამოგზავნილი საგამოცდო ამოცანების ამოხსნაზე მთელი სკოლის მათემატიკოსები იმტვრევდნენ თავს, ზოგჯერ უშედეგოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორმა **ვენორი ქვაჩახიამ**, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია ჩამოაყალიბა და განათლების სოციოლოგიური პრობლემების კვლევა დაიწყო. კვლევის შედეგები იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ სერიოზულად ვერც კი აღიქვა საზოგადოებამ: საშუალო ნიჭის მეცხრეკლასელმა დამაკმაყოფილებელ დონეზე რომ ისწავლოს ყველა საგანი, დღეღამეში 16 საათის მეცადინეობა მოუწევსო. აბა, ამნაირ „ბეჯით" ბავშვს სად ნახავდით, დღეში 16 საათი ემეცადინა? ამიტომ იყო, რომ ნაწილმა საერთოდ აიღო ხელი სწავლაზე, ნაწილმა „დიფერენცირებული დამოკიდებულება" გამოავლინა სასწავლო დისციპლინების მიმართ: ერთ-ორ ისეთ საგანს სწავლობდა, მომავალ პროფესიულ საქმიანობაში რომ უნდა გამოსდგომოდა.

შედეგი: **გაუნათლებელი თობა!**

ეს შეფასება უთუოდ აღაშფოთებს მავანს, იტყვის, როგორც იმ სატელევიზიო განხილვის ერთ-ერთმა მონაწილემ ბრძანა, ჩვენი საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდობა ბევრად უფრო განათლებულია, ვიდრე გასული საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდობა იყოო. იქვე მჯდომი ცნობილი პოეტი მორიდებით შეეპასუხა: არა მგონია, ბაბუათქვენი (გამოჩენილი ქართველი მეცნიერი – ზ. ც.) თქვენზე გაუნათლებელი ყოფილიყოო.

ნასწავლი და განათლებული კაცი ერთი და იგივე არ არის. **განსწავლულობა ინტელექტის ხარისხზე მიუთითებს, განათლებულობა სულიერი მდგომარეობაა**. განათლებული კაცი ჰუმანისტია უთუოდ, განსწავლული კი შეიძლება საზოგადოებისათვის საფრთხედ იქცეს. რაც უფრო გაუნათლებელია განსწავლული ადამიანი, მით უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს იგი.

კარგა ხანია, ეს პრობლემა აწუხებს ცივილიზებულ სამყაროს. ფილოსოფოსები და სოციოლოგები ამაში კაცობრიობის კატასტროფულ მომავალს ხედავენ. კაცობრიობა ცივილიზებული ველურობისაკენ მიდისო, – ამ ნახევარი საუკუნის წინ ბრძანა ინგლისელმა ფილოსოფოსმა რასელმა. ესპანური წარმომავლობის დიდმა ამერიკელმა მოაზროვნემ ხოსე ორტეგა ი გასეტმა, მის ერთობ პოპულარულ ნაშრომში „მასების ამბოხი", ასეთი რამ განაცხადა: ამერიკაში ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ნიღაბქვეშ პირველყოფილი ხალხი იმალებაო.

ამიტომ იყო, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში

*დასასრული მომდევნო გვერდზე*

თვალსაზრისი

# პედაგოგიური პრობლემის პუბლიცისტური ასპექტები

*მე-7 გვერდიდან*

დასავლეთ ევროპაში დაიწყო სერიოზული მოძრაობა განათლების ჰუმანიზაციისათვის, რასაც, რატომღაც, ჩვენ ყურადღების მიღმა ვტოვებთ.

კლასიკური პედაგოგიკაც და თანამედროვეობის გამოჩენილი მკვლევარებიც მიიჩნევენ, რომ სკოლის გენერალური მიზანი უნდა იყოს არა მოსწავლის გონების ცოდნით დატვირთვა, არამედ მისი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი უნარების განვითარება და მისთვის მსოფლმხედველობრივი ცოდნის მიცემა.

მსოფლმხედველობრივი ცოდნის მიცემა მაშინ არის შესაძლებელი, თუ სამყაროს – მატერიალურსაც და სულიერსაც მთლიანობაში დავანახვებთ მოზარდს. სამყაროს მთლიანობის დანახვას მაინცა და მაინც ნიუტონის ბინომისა თუ კვანტური მექანიკის ელემენტების ცოდნა არ სჭირდება; საამისოდ არც იმის ცოდნაა აუცილებელი, რამდენი ბატალიონი გამოიყვანა მეორე მსოფლიო ომში ინგლისმა თუ იტალიამ. საამისოდ სრულიად საკმარისია, მოზარდს ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დავანახოთ, რაც ნებისმიერ ვითარებაში მოვლენათა განვითარებას განსაზღვრავენ. ცოდნის ასეთი შინაარსისა და სტანდარტების დადგენა შესაბამისი ორგანოების კომპეტენციაა და უნდა დაადგინონ კიდეც.

რაც შეეხება მოსწავლის სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჩემი აზრით, ამ მიმართულებით მხოლოდ ჰუმანური პედაგოგიკის პრინციპებით უდნა ვიხელმძღვანელოთ.

კერძოდ, რას გულისხმობს ჰუმანური მიდგომის პრინციპი?

ყოველ ინდივიდს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პიროვნული ნიშნები – ნიჭის, უნარის, ჩანასახები და ა. შ. და მათი განვითარების პერსპექტივები აქვს. ამიტომ, ჰუმანურმა აღზრდამ აღსაზრდელში უნდა აღმოაჩინოს მისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობანი და ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, აღზრდაში აუცილებელია შემოქმედებითი თავისუფლება, რაც, ცხადია, ჰუმანურ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული.

ჰუმანური პედაგოგიკის მიმართულებების ახსნა ცალკე საუბრის თემაა. აქ კი იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილის გაუნათლებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არა პედაგოგისა თუ მშობლის კვალიფიკაციის საგანმანათლებლო ამოცანებთან შეუსაბამობაა, არამედ სასკოლო განათლების კონცეფციის ნაკლოვანება.

***ზურაბ ცუცქირიძე***
*პედაგოგიკის დოქტორი*

# რატომ არ ენდობიან მშობლები სკოლას ანუ რა პრობლემებს ვერ აგვარებს სკოლა

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ქვეყანა კვლავ ახალი თუ ძველი პრობლემების წინაშე დგება. შეძლებს ახალი ხელმძღვანელობა ხარვეზების დაძლევას? ხარვეზები კი საკმაოდ იყო. ჩემი სურვილია, ძველი პრობლემების გახსენებამ მათი დაძლევის ახალი გზები დაანახოს განათლების მუშაკებს, ხელისუფლებამ კი მათ განხორციელებას შეუწყოს ხელი.

ერთი საგაზეთო სტატია, რა თქმა უნდა, ყველა პრობლემას ვერ გადასწვდება და ამიტომ რამდენიმე მთავარი საკითხით შემოვიფარგლები: რატომ მიჰყავთ მშობლებს შვილები რეპეტიტორებთან, რატომ ვერ სწავლობს ყველა მოსწავლე ყველა საგანს ყოველდღე, რატომ აცდენს სკოლის გაკვეთილებს კლასის თითქმის 15-20 პროცენტი, რატომ გაიზარდა მოსწავლეებში სისასტიკე. ამ საკითხების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა ვერ მოხერხდება, ვინაიდან ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი.

* * *

რეპეტიტორებთან მოსწავლეების მასიური სვლა 60-ანი წლებიდან დაიწყო. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მიზეზი ბევრია. დავიწყებ ერთ-ერთი მთავარი პრობლემით – გაკვეთილების გაცდენა. გაკვეთილებს აცდენენ ორი ტიპის ბავშვები. ერთნი მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები არიან. ეს ბავშვები საშინაო დავალებებიდან რამდენიმეს შესრულებას ასწრებენ, 1 ან 2 დავალება შეუსრულებელი რჩებათ. სკოლებში არანორმირებული საშინაო დავალების მიცემა დღევანდლამდე გრძელდება. მოსწავლე სკოლაში არწასვლას არჩევს, ვიდრე კლასში მასწავლებლის და ამხანაგების წინაშე შერცხვენას, იმ 1 თუ 2 დავალების შეუსრულებლობის გამო. დაბალი შეფასების მიღებაც აშინებს, ვინაიდან ამან შეიძლება სემესტრის აკადემიურ შეფასებაზე უარყოფითად იმოქმედოს. ამ მოსწავლეს შეიძლება ძალიანაც ენანებოდეს გაკვეთილების გაცდენა, მაგრამ იძულებული ხდება, ასე მოიქცეს (სასურველი იქნებოდა, მოსწავლის გამოკითხვის ისეთი მექანიზმი შემუშავებულიყო, რომლის შედეგადაც მოსწავლე არ იქნებოდა იძულებული სკოლა გაეცდინა).

გაკვეთილების გამცდენი მოსწავლეების მეორე ტიპი ის ბავშვები არიან, რომლებიც თავისთავს არიან მინდობილები. ოჯახში, დღის განმავლობაში, უფროსებიდან არავინ არის. დილას არავინ აღვიძებთ, არავინ ზრუნავს მათ საუზმესა და სკოლაში დროზე გაშვებაზე.

პედაგოგს, რომელსაც 35-40 მოსწავლის მაგიერ, 20-25 მოსწავლესთან მუშაობა გაცილებით უადვილდება კლასში, ქვეცნობიერად უხარია კიდეც მოსწავლეთა გაცდენები, შეძლებისდაგვარად ცდილობს დამალოს ეს მოვლენა და თავს იმშვიდებს, თითქოს, იმიტომ არ ამხელს მოსწავლის გაცდენას, რომ მას ცნობა არ მოსთხოვონ ან რაიმე სასჯელი არ მიიღოს.

ძალიან ცოტანი არიან პედაგოგები, რომლებიც 35-40- მოსწავლიან ჯგუფში რაიმე სახარბიელო შედეგებს მიაღწევენ.

როგორც წესი, „გამცდენი“ მოსწავლე გაკვეთილებს წელიწადში მხოლოდ 3-4-ჯერ არ აცდენს. ეს მისი ცხოვრების სტილია, უკვე შემუშავებული და ძვალ-რბილში გამჯდარი. ნახეთ ნებისმიერი სასკოლო ჟურნალი სასწავლო წლის დასასრულს და თვალნათლივ დაინახავთ, რომ აცდენენ ერთი და იგივე მოსწავლეები. ისეთებსაც ნახავთ, რომლებსაც არც ერთი გაკვეთილი არა აქვთ გაცდენილი. ეს მშობლების დამსახურებაა.

ახლა ვნახოთ, რა ხდება გაცდენილ გაკვეთილზე. მასწავლებელი ხსნის ახალ გაკვეთილს. გამოიყენებს ყველა საჭირო თვალსაჩინოებას: ტაბულებს, ექსპერიმენტს, სასწავლო ფილმს თუ სხვა უამრავ საჭირო მასალას, რათა მაქსიმალურად გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელი გახადოს საგაკვეთილო მასალა. ამ თვალსაჩინოებას პედაგოგი წლების განმავლობაში აგროვებს ან თვითონ ქმნის, სისტემატურად ხვეწს სწავლების მეთოდებს, გრძნობს პასუხისმგებლობას მოსწავლის, მისი მშობლების, სკოლის დირექციის, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს წინაშე. გამცდენი მოსწავლეებისთვის მასწავლებელი ველარ გაიმეორებს ყოველივე იმას, რაც უკვე გააკეთა და რასაც მთელი თავისი შესაძლებლობები ჩააქსოვა.

ვერც ერთი რეპეტიტორი ვერ მიაღწევს ერთ გაკვეთილზე ისეთ ეფექტს, როგორიც შეუძლია სკოლაში ჩატარებულ კარგ გაკვეთილს. სკოლაში პედაგოგს ხომ სისტემატურად ამოწმებენ ზემდგომი ორგანოები და ისიც იძულებულია, მუდამ იზრუნოს გაკვეთილის სრულყოფაზე. იმავეს ვერ ვიტყვით რეპეტიტორზე. მას არავინ ამოწმებს. ზოგიერთი ადამიანი სწორედ იმისთვის იწყებს რეპეტიტორობას, რომ იცის, არავინ შეუმოწმებს სწავლების დონეს. რეპეტიტორობის წინააღმდეგი არ ვარ. სანამ სკოლის პროგრამა და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების მოთხოვნები ერთმანეთს არ გაუთანაბრდება, მანამდე საჭირო იქნება რეპეტიტორობის ინსტიტუტი. მე მხოლოდ მათი ნაწილის შესაძლებლობები მაფიქრებს. მათ ხომ არავითარი ოფიციალური საბუთი, როგორც რეპეტიტორისა, არ გააჩნიათ. სამეცნიერო ხარისხი სულაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად კარგი რეპეტიტორიც იქნება. როგორ მიხვდეს მშობელი, რომელ რეპეტიტორთან ჯობია შვილის მიყვანა. ზოგჯერ მოსწავლე რამდენიმე რეპეტიტორს იცვლის. ამასობაში კი, წელიწადი გადის და ვერ ასწრებს მთელი პროგრამის გავლას. მშობელი მოტყუებული რჩება.

* * *

არ შემიძლია გვერდი ავუარო სახელმძღვანელოების როლს მოსწავლეთა გაცდენების საქმეში. ზემოთ ვახსენეთ – „რატომ არ სწავლობს ყველა მოსწავლე ყველა გაკვეთილს“. გაგაცნობთ ერთ „საშინაო დავალებას“ ქიმიის სახელმძღვანელოდან.

*„მაღაზიაში იყიდება ისეთი სარეცხი საშუალება, რომელიც ფერმენტს ანუ ენზიმს შეიცავს. ნახეთ არის თუ არა მითითებული მისი გამოყენების ინსტრუქციაში ტემპერატურული ინტერვალი, რომლის ფარგლებშიც ეს სარეცხი საშუალება უფრო ეფექტურად რეცხავს. რითია განპირობებული ასეთი რჩევა? გარეცხეთ ამ სარეცხი საშუალებით ინსტრუქციის შესაბამისად და მისი დარღვევის პირობებში, შეამოწმეთ რამდენად მართებულადაა განსაზღვრული ტემპერატურული ინტერვალი.*

*4. ა) მოიფიქრეთ, დაგეგმეთ და განახორციელეთ ექსპერიმენტი, რომლითაც გამოიკვლევთ საფუარი სოკოების მოქმედების აქტიურობას სხვადასხვა ტემპერატურულ ინტერვალში“.*

ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს დავალება ერთ პატარა სამეცნიერო შრომას წარმოადგენს და საშინაო დავალების მოთხოვნებს ნამდვილად სცილდება.

ახლა გავეცნოთ ამ დავალებას: *„უფროსებისგან ისწავლე ან სხვა წყაროებიდან მოიპოვე ინფორმაცია მაწვნის დაყენების შესახებ, დაამზადე მაწონი... და ა. შ.“*

რამდენადაც ნაცნობია, და ამის გამო უაზროა, ამ დავალების შესრულება სოფლის მოსწავლისთვის, იმდენად უცნობი და ძნელი შესასრულებელია ქალაქელი მოსწავლისთვის. ამ დავალებაში ბევრი რამ არ არის გათვალისწინებული: უფროსები სახლში არ არიან, ოჯახში კომპიუტერი არა აქვთ, მაცივარში რძე არ არის, მაწვნის „დედაც“ საჭიროა, რძის ადუღებას, გაგრილებას და მაწვნის შედედებას საათზე მეტი სჭირდება – თბილად შეხვევა და რამდენიმე საათი დაყოვნება; შემდეგ გახსნა და მაცივარში შედგმა ... სხვა დავალებისთვის ცოტა დროღა რჩება.

ეს დავალებები იმ სახელმძღვანელოდან ამოვიღე, რომელიც სხვებთან შედარებით გაცილებით მეტად მომწონს. სახელმძღვანელოების საკითხი კიდევ ერთი მტკივნეული თემაა სწავლების საქმეში.

არსებობს მასწავლებლის მიერ უაზროდ წამოსროლილი ზეპირი დავალებებიც. მაგ. თემა: „თიხა და ქვიშა“ – მეოთხე კლასის „ბუნება“. მასწავლებელი აცხადებს: *„მოიტანეთ სკოლაში თიხა და კლასში გამოძერწეთ რაიმე“.*

გეკითხებით, სად აიღოს ბავშვმა თიხა? იყიდება სადმე? მთელ სკოლაში ალბათ ერთი-ორი მშობელი თუ იქნება მოქანდაკე ან კერამიკოსი, რომელსაც სახლში შეიძლება თიხა ჰქონდეს. დანარჩენებმა რა ქნან? კოლეგებო, წარმოიდგინეთ წესიერი, დავალების შემსრულებელი, მონდომებული მოსწავლე. რა მდგომარეობაში ჩავარდება ეს მოსწავლე ან მისი მშობელი? ასეთი ბავშვი სკოლასაც გააცდენს, რადგან დავალება არ ექნება შესრულებული. კეთილი ინებოს ამ მასწავლებელმა და თიხა თვითონ მოიტანოს.

რამდენიმე ასეთი შეუსრულებადი დავალება და მოსწავლეს შეიძლება ნევროზიც ავკიდოთ. ზოგმა შეიძლება საერთოდ ფარ-ხმალი დაყაროს და საერთოდ, ხელი აიღოს დავალებების შესრულებაზე.

ყოველი საშინაო დავალება კარგად და ყოველმხრივ უნდა იყოს გააზრებული. სწავლების საქმეში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

* * *

სკოლაში გაჩნდა ახალი ტენდენცია: უმატებენ და უმატებენ ახალ-ახალ სასწავლო საგნებს. ზოგიერთ სკოლაში გაკვეთილების რაოდენობამ 7 და 8-ს მიაღწია. ყველამ, ვისაც კი სკოლაში გვიმუშავია, კარგად ვიცით, რომ მოსწავლეებს ხალისიანი და აქტიური მეცადინეობა მხოლოდ 3-4 გაკვეთილის განმავლობაში შეუძლიათ. დანარჩენი უკვე ძალადობაა. ნუთუ არ შეიძლება სკოლაში მხოლოდ 5 გაკვეთილი ტარდებოდეს, მხოლოდ მთავარი საგნები ისწავლებოდეს?! დანარჩენი საგნები, ვთქვათ, რელიგიის ისტორია, ხელოვნება (მუსიკა, მხატვრობა, ...) და სხვ. ტელეგაკვეთილებად ვაქციოდ. ტელევიზიის ერთ-ერთი არხი მთლიანად სკოლას დაეთმოს და მოსწავლეებმა სახლში მიიღონ ზოგადი განათლება. გაიხსენეთ, რა შესანიშნავი გადაცემა ჰქონდა ბატონ ჯანსუღ კახიძეს. მის მუსიკალურ ლექციებს ყველა სიამოვნებით უსმენდა. შესანიშნავი იყო თეო ჯალაღანიას ლექციები ხელოვნებაზე; ოთარ ხაზარაძის, ელენე სურგულაძის, მანანა კასრაძის ლექციები ფიზიკაში; მადონა მდივნიშვილის ლექციები გეოგრაფიაში და ა. შ. რატომ არ შეიძლება განვაახლოთ ეს ტრადიცია?! ის, რაც გვქონდა კარგი, რატომ დავივიწყეთ?!

* * *

ბოლოს მინდა მოსწავლეებში სისასტიკის მომატების მოვლენას შევეხო. რა თქმა უნდა, მოსწავლეებში უხეშობა, გარკვეული დოზით, ყოველთვის იყო. სპორტული ტანსაცმლის და ბოტასების მოპარვა, ბუფეტში უფროსკლასელების მიერ უმცროსებისაგან ფულის გამოძალვა ან წართმევა, თავში წიგნის ჩარტყმა, გაქცეულისთვის ფეხის დადება, ტუალეტში უფროსკლასელების მიერ უმცროსკლასელებისათვის ძალით სიგარეტის მოწევინება, სკოლის ეზოს მოფარებულში მუშტი-კრივი და ა. შ. მაგრამ ეს არ სცილდებოდა ცხვირ-პირის დასისხლიანებას და ტანსაცმლის ჩამოხევას.

დღეს კი რას ვხედავთ?! უფროსმა თაობამ ეკლესიაში სიარული და ეკლესიური ცხოვრება დაიწყო, ყმაწვილებმა კი – დანების შეძენა და მათი უმოწყალო გამოყენება... სად ვეძებოთ ამის მიზეზი? უფროსი თაობა გაიზარდა ისეთ ფილმებზე, რომელშიც მოსწავლის მიერ სიგარეტის მოწევაც კი ხულიგნობის ტოლფასი იყო. ფილმები გაჟღენთილი იყო ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარეობით.

თანამედროვე ფილმებში დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტაა. როცა ადამიანი ამას ბავშვობიდანვე უყურებს, ეჩვევა ყველაფერ ამას და ადვილი ეჩვენება იარაღის ხმარება. მასაც უნდა გამოსცადოს მძაფრი შეგრძნებები და თავი ვაჟკაცად იგრძნოს. მუშტი-კრივი მისთვის უკვე ძალიან უბრალო გართობაა...

როგორ ვუშველოთ ამ ტრაგიკულ მოვლენას? უკვე რამდენი ოჯახი გაუბედურდა მოზარდების უაზრო დანის ქნევით.

უპირველეს ყოვლისა, სკოლაში მკვეთრად უნდა შეიცვალოს მბრძანებლური ტონი მასწავლებლებისა მოსწავლეებთან, დირექციისა – მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, ტექნიკურ პერსონალთან. მოსწავლე კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს სკოლაში (ამას ჯერ კიდევ 40 წლის წინ ამტკიცებდა პროფესორი შალვა ამონაშვილი). ეს უტოპია არ არის. მე მომსწრე ვარ, თუ როგორ უხაროდათ სკოლაში მოსვლა პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებს, ამ სკოლის გახსნიდან პირველ რამდენიმე წელიწადს. ეს ჩემთვის მაგალითია და მჯერა, რომ ამის მიღწევა კიდევ შეიძლება.

ყოველ სკოლაში არის 3-4 მასწავლებელი, რომელთა დანახვა მოსწავლეს გულს უხარებს. ასეთი უნდა იყოს ყველა და არა 3-4. დანარჩენები უნდა ეცადონ დაინახონ ამ მასწავლებლებში ის გამორჩეული თვისებები, რომლებიც ასე აბედნიერებთ ბავშვებს. დაინახონ და მიბაძონ მათ. მოსწავლეთა უმრავლესობა მტკივნეულად იღებს სკოლაში დამკვიდრებულ ქედმაღლურ დამოკიდებულებას და დაძაბული ზის გაკვეთილზე. გარეთ გამოსულს განმუხტვა სჭირდება და სხვაზე გადააქვს თავისი უარყოფითი შეგრძნებები. ყოველი მოსწავლე სხვადასხვა დოზით ახდენს ამ განმუხტვას და აი, ზოგისთვის ეს დანის დარტყმითაც მთავრდება.

ძალიან დიდ დროს ატარებს მოსწავლე სკოლაში. ამიტომ ოჯახის იმედზე არ უნდა დავდგეთ. უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი მეთოდი და ბავშვებს ვასწავლოთ დაფიქრება, თუ რა მოჰყვება მათ ნებისმიერ საქციელს და შემდეგ თვითონ გააკეთონ დასკვნა, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი. როცა მოსწავლეს კარგად ექნება გააზრებული, რომ მის ამ საქციელს მოჰყვება თავისუფლების აღკვეთა 5, 10, 15 დღე ან 1, 2, .....25 წელი, მშობლებთან და და-ძმებთან განშორება, ნაძირალებთან ერთად რკინის საკანში ჯდომა და ა. შ., იქნებ ამ ცოდნამ აღარ მოანდომოს ბავშვს დანის ჯიბეში ჩადება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოზარდმა იგრძნოს პასუხისმგებლობა თავის საქციელზე.

მანდატურები სკოლაში დღესდღეობით საჭიროა, სანამ არ ვასწავლით მოსწავლეებს საკუთარი საქციელის გაანალიზებას და ამის შესაბამისად, საკუთარი ემოციების მართვას. შემდეგ კი, აჯობებს მათ სამსახურზე უარი ვთქვათ. არ არის საჭირო სკოლა ციხეს დავამსგავსოთ. სკოლაში მანდატურების შემოსვლამ შეიძლება მასწავლებლების ყურადღება მოადუნოს. პედაგოგის გამოცდილებასა და შესაძლებლობებს მანდატური მეტოქეობას ვერ გაუწევს. ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს სიახლე.

მშობელი, რომელიც შვილს სკოლაში უშვებს, სკოლის იმედზეა. სკოლამაც არ უნდა უღალატოს მშობელს. გავხადოთ სკოლა მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად კომფორტული. ახალგაზრდებზე ზრუნვა ხომ ჩვენივე ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა.

***მარიამ სურგულაძე***
*განათლების სამინისტროს ყოფილი მეთოდისტი*

# 2010 წელს აბიტურიენტების მომზადების დონესთან დაკავშირებით



სიმონ ჯანაშია

### პრობლემა

2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების წარდგენისას გამოცდებისა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ქალბატონ მაია მიმინოშვილმა განაცხადა, რომ წელს წინა წლებთან შედარებით შედეგები გაუარესებულია. „6 წლის განმავლობაში სულ იყო კითხვა, უმჯობესდება თუ უარესდება ჩვენი აბიტურიენტების მომზადების დონე. სულ ვამბობდი, რომ დრამატულად არც უმჯობესდება და არც უარესდება, წელს უნდა ვაღიარო, რომ შედეგები დამაფიქრებელია და გაცილებით დაბალია აბიტურიენტების მომზადების დონე, ვიდრე გასულ წლებში". განსაკუთრებული ყურადღება პრესკონფერენციაზე, რომელიც 4 აგვისტოს მოეწყო, ქ-ნ. მიმინოშვილმა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიაქცია. ამ კონტექსტში საინტერესოა მისი 10 აპრილის ინტერვიუ, სადაც ის წუხს, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე უხარისხო სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები იქმნებოდა, რომ „ჩვენ ჩავაგდეთ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება და რამდენიმე თაობას რბილად, რომ ვთქვათ ცუდად მოვექეცით“. ამ ორი განაცხადის საფუძველზე გვაქვს შემდეგი სურათი: ქ-ნ. მიმინოშვილის განცხადებით, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწორად არ მიმდინარეობდა სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების რეფორმა. განსაკუთრებით ცუდად ეს საბუნებისმეტყველო და მათემატიკის მიმართულებად მიმდინარეობდა. ამის შედეგი კი არის ის, რომ წელს მკვეთრად გაუარესდა აბიტურიენტთა მომზადების დონე. დავინტერესდით, რამ მისცა საფუძველი ასეთ განცხადებას? არსებობს იმის ობიექტური მონაცემები, ვიფიქროთ, რომ წელს მართლაც უფრო დაბალია აბიტურიენტების მომზადების დონე?

„გაუარესდა თუ არა წელს აბიტურიენტების მომზადების დონე?“ – ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ როგორც მინიმუმ ორი რამის შესახებ ინფორმაცია გვჭირდება:

1. აბიტურიენტების მონაწილეობა და მათი შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წელს და მანამდე;
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების შინაარსი, შექმნისა და ჩატარების მეთოდოლოგია წელს და მანამდე.

ამ ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ გამოცდების შედეგებთან მიმართებაში ცვლილებების არსებობისა და ბუნების შესახებ. მხოლოდ თუ გვეცოდინება, რა სტატისტიკური მონაცემები გვაქვს და რა მეთოდით მოხდა ამ მონაცემების შეგროვება, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, მოხდა თუ არა რაიმე სახის გაუარესება ან გაუმჯობესება მომზადების დონეში. ხოლო თუ ცვლილების დადგენასაც შევძლებთ, შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული ეს ცვლილება.

სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ, შესწავლის ეს გზა ასე გამოიყურება.




### შედეგების ცვლილებების სტატისტიკა

ქვემოთ ნაჩვენები მონაცემები (ცხრილი 1.) აღებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან. შედარებულია 2009 და 2010 წლის აბიტურიენტების რაოდენობრივი მაჩვენებლები, ტესტის რაოდენობრივი მახასიათებლები და აბიტურიენტების შედეგები.

შედეგები წარმოდგენილია თითოეული საგნის მიხედვით, ორი პარამეტრით:

a. აბიტურიენტის საშუალო ქულები;

b. მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვაში წარუმატებელ აბიტურიენტთა პროცენტი მონაწილეთა საერთო რაოდენობაში.

ეს ორი პარამეტრი შეირჩა, რადგან ამ ორი პარამეტრით არის მოცემული გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტზე სტატისტიკური ანალიზი. ამავდროულად სწორედ ამ პარამეტრიდან ერთ-ერთზე დაყრდნობით (კომპეტენციის ზღვარი) ცდილობდა ქ-ნ. მიმინოშვილი დასაბუთებას, რომ მომზადების დონე გაუარესდა.

| | აბიტურიენტების რაოდენობა | | ტესტში ქულების მაქსიმალური რაოდენობა | | a. აბიტურიენტების საშუალო ქულა როგორც მაქსიმალურის % | | b. რამდენმა %-მა ვერ გადალახა კომპეტენციის ზღვარი? | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანი | 2009 | 2010 | 2009 | 2010 | 2009 | 2010 | 2009 | 2010 |
| ქართული | 28,004 | 33621 | 100 | 100 | 56 | 56 | 6.25 | 6.70 |
| ინგლისური | 17001 | 21926 | 100 | 100 | 54 | 53 | 6.39 | 7.72 |
| გერმანული | 3439 | 3340 | 100 | 100 | 50 | 47 | 7.53 | 9.28 |
| ფრანგული | 917 | 859 | 100 | 100 | 55 | 46 | 1.85 | 8.38 |
| რუსული | 6561 | 7354 | 100 | 100 | 43 | 45 | 21.31 | 24.61 |
| უნარები | 32015 | 43543 | 100 | 80 | 45 | 47 | 8.91 | 8.92 |
| მათემატიკა | 8459 | 13905 | 100 | 55 | 43 | 38 | 21.62 | 31.21 |
| ბიოლოგია | 954 | 2691 | 100 | 75 | 34 | 43 | 41.51 | 26.50 |
| ქიმია | 220 | 465 | 100 | 75 | 26 | 35 | 56.82 | 38.49 |
| ფიზიკა | 18 | 81 | 100 | 75 | 31 | 36 | 27.78 | 58.02 |
| ისტორია | 2282 | 10061 | 100 | 80 | 43 | 52 | 11.31 | 8.28 |
| გეოგრაფია | 2282 | 1513 | 100 | 80 | 43 | 53 | | 7.27 |
| ლიტერატურა | 939 | 6806 | 100 | 80 | 52 | 33 | 5.86 | 26.15 |

ცხრილი 1. აბიტურიენტების მონაწილეობისა და შედეგების სტატისტიკა

თვალსაჩინოებისთვის სხვადასხვა ფერით მონიშნულია ცვლილებები ტესტირების მიღწევებში. ყვითელი ფერით გამოსახულია ტესტირების შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვნად (5%-იან ცვლილებაზე ნაკლები) არ შეცვლილა. წითლად არის გამოსახული ცვლილება, რომელიც ქულების მაჩვენებლების გაუარესებას წარმოადგენს. მწვანედ გამოსახულია ქულების გაუმჯობესება.

მათემატიკის გამოცდაზე უარყოფითი ცვლილებაა როგორც საშუალო შედეგებში, ისე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვასთან მიმართებაში. გაუარესდა ფრანგულის ქულები და კომპეტენციის ზღვარზე ჩაჭრილთა რაოდენობა. მსგავსი სურათი გვაქვს ლიტერატურის გამოცდაზეც.

საბუნებისმეტყველო სამივე საგანში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) გვაქვს საშუალო ქულების პარამეტრის გაუმჯობესება 2009 წელთან შედარებით. კომპეტენციის ზღვარზე ჩაჭრილთა პარამეტრში ქიმიასა და ბიოლოგიაში ვითარება გაუმჯობესდა. აქ შემცირდა კომპეტენციის ზღვარზე ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა. ფიზიკაში კი ეს რაოდენობა გაიზარდა.

ისტორიისა და გეოგრაფიის ქულების შედარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წელს მათ შედეგებს გავაერთიანებთ. 2009-ში ეს დისციპლინები ერთი ტესტის ფარგლებში გამოიცდებოდა, ხოლოდ 2010-ში კი – ცალ-ცალკე.

შედეგების მიხედვით ცვლილებებს თუ დავაჯამებთ, სურათი შემდეგია:




| | გაუარესდა | | გაუმჯობესდა | | უცვლელი |
|---|---|---|---|---|---|
| | 2 პარამეტრით | 1 პარამეტრით | 1 პარამეტრით | 2 პარამეტრით | |
| სავალდებულო საგნები (ქართული, უნარები, უცხო ენები) | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| არჩევითი საგნები (მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა) | 2 | 1 | 1 | 3 | 0 |
| სულ საგნების რაოდენობა | 3 | 1 | 1 | 3 | 5 |

ცხრილი 2. შედეგებში ცვლილებების მიმართულება საგნების მიხედვით

აქ ვხედავთ, რომ სავალდებულო საგნებში, ქართული, უცხო ენები და უნარები 6 საგნიდან გაუარესება მხოლოდ ერთში გვაქვს. არჩევით საგნებში ორ საგანში გვაქვს გაუარესება ორივე პარამეტრით (საშუალო ქულებითაც და კომპეტენციის ზღვარზე ჩაჭრილებით) და ერთ საგანში გვაქვს ერთი პარამეტრით გაუარესება (ფიზიკა), იმავე საგანში გვაქვს სხვა პარამეტრით გაუმჯობესება. სამაგიეროდ, სამ საგანში გვაქვს გაუმჯობესება ორი პარამეტრით: ბიოლოგია, ქიმია, ისტორია, გეოგრაფია.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ინფორმაცია საბუნებისმეტყველო საგნების შედეგების გაუარესებაზე მცდარია. საბუნებისმეტყველო სამი საგნის 6 პარამეტრიდან, მხოლოდ ერთში გვაქვს გაუარესება: ფიზიკაში 2010 წელს აბიტურიენტთა მეტი პროცენტი ვიდრე შარშან. თუმცა, იმავე პარამეტრებს თუ აბიტურიენტების აბსოლუტური რაოდენობით დავითვლით, ალბათ, მიუღებელი იქნებოდა მისი სერიოზულად განხილვა. საქმე ისაა, რომ შარშან ფიზიკის გამოცდაზე სულ 18 აბიტურიენტი გავიდა და აქედან 5 ჩაიჭრა და 13-მა გადალახა ზღვარი. ხოლო წელს 81 აბიტურიენტიდან 47 ჩაიჭრა და 34-მა დაძლია ზღვარი. როდესაც მონაცემები ასეთ მცირე რაოდენობებს ეხება, სტატისტიკური მონაცემების განზოგადების გზით ინტერპრეტირების უფლება მკვლევარებს არ გვაქვს. თუ ამ ვითარებას გავითვალისწინებთ, ფიზიკის მონაცემების შედარება შეუძლებელი ხდება დადებითი (საშუალო ქულები) ან უარყოფითი (ჩაჭრილთა რაოდენობა) პარამეტრების მიხედვით.

მსჯელობის ამ ნაბიჯზე გვაქვს ასეთი ვითარება: ლიტერატურაში, ფრანგულსა და მათემატიკაში გვაქვს გაუარესება ორი პარამეტრით, ხოლო ბიოლოგიაში, ქიმიაში, ისტორია და გეოგრაფიაში კი ამდენივე პარამეტრით ქულების გაუმჯობესება. დანარჩენ საგნებში ორივე პარამეტრის მიხედვით შედეგები უცვლელია 5%-იანი ზღვრებით. დამეთანხმებით, ამ ვითარებას არანაირი გაუარესება აბიტურიენტების შედეგებში არ შეიძლება ზოგადად დაერქვას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რომელზეც იყო საუბარი გამოცდების ცენტრის დირექტორის პრესკონფერენციაზე, ამ მონაცემების მიხედვით ვითარება, ტესტის შედეგების მხრივ, გაუმჯობესებულიც კია.

### მონაცემების შეგროვების (ტესტის შედგენის და ტესტირების) მეთოდოლოგია

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა მართალია ოპტიმისტურ სურათს გვაძლევს, მაგრამ ავტომატურად დასკვნების გამოტანის უფლებას არ იძლევა. ამისთვის აუცილებელია გადავხედოთ მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიას.

პირველი, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ტესტები თეორიების მიხედვით დგება. ერთიანი ეროვნული გამოცდები ეფუძნება ე.წ. კლასიკურ ტესტის თეორიას. ამ თეორიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ტესტის სანდოობა და სირთულე იზომება არა ტესტის რაიმე შინაგანი თვისებებით, არამედ იმით, თუ როგორ შედეგებს გვაჩვენებს ის ჯგუფი, რომელიც ტესტირებას გაივლის (პოპულაცია).

მეორე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები განეკუთვნება სასელექციო შეფასების ტიპს. ამ ტიპის გამოცდის მიზანია დავადგინოთ, თუ რომელი ტესტის შემსრულებელია უკეთ ან უარესად მომზადებული. ამას სხვაგვარად ნორმაზე დაფუძნებული ტესტი ჰქვია. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული ტესტის შემსრულებლის მიღწევა იზომება სხვის მიღწევასთან მიმართებაში. ეს ტესტი განსხვავდება კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტისგან, რომლის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად ახლოს არის ტესტის შემსრულებელი ტესტის ფარგლებში დადგენილ მიზნებთან.

დასასრული შემდეგ ნომერში

კვალი ნათელი

# ანდრია ბენაშვილის გახსენება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, დედოფლისწყაროსა და თბილისის ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის სკოლის დირექტორის, აკადემიური დოქტორის **ცაცა ბენაშვილის** თაოსნობით, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ასტრონომიული და გეოდეზიური სკოლების ფუძემდებლის, თბილისის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესორ ანდრია ბენაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.

საღამო გახსნა თსუ სენატის სპიკერმა **კახა ლორიამ**. ანდრია ბენაშვილზე, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელზე, ისაუბრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **თამაზ ქართველიშვილმა**.

ივანე ჯავახიშვილთან თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ დამსწრე საზოგადოებას აკადემიკოსმა **მარიამ ლორთქიფანიძემ** მოუთხრო.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სახელით, აუდიტორიას მიესალმა ამავე საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **რევაზ გაჩეჩილაძე**. სიტყვით გამოვიდნენ, ასევე, ვახუშტის ინსტიტუტის, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კარტოგრაფიული ცენტრის წარმომადგენლები.

ღონისძიების მეორე ნაწილი გამოჩენილი მეცნიერის მემკვიდრეობის შესახებ მოხსენებებს დაეთმო.

„ანდრია ბენაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა“ იყო ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოდეზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ **მერაბ თევზაძის** მოხსენების თემა.

საინტერესო იყო დედოფლისწყაროსა და თბილისის ანდრია ბენაშვილის სახელობის სკოლის დირექტორის, ცაცა ბენაშვილის გამოსვლა – მან ყურადღება გაამახვილა დიდი წინაპრის ალღოსა და ნიჭზე, მის პედაგოგიურ ღვაწლზე.

ღონისძიების წამყვანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **თენგიზ გორდეზიანმა** აქცენტი გააკეთდა ანდრია ბენაშვილის მოღვაწეობაზე კარტოგრაფიაში. მომხსენებელმა ის ქართულენოვანი სახელმძღვანელოები წარმოადგინა, რომლებიც გასული საუკუნის 30-იან წლებში პირველად დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განსაკუთრებით სასიხარულო იყო ინტერესი, რომელიც ახალგაზრდებმა გამოიჩინეს გამოჩენილი მეცნიერის მიმართ. სტუდენტის გადასახედიდან ანდრია ბენაშვილის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის, ნაღვაწის შესახებ ისაუბრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა **პაატა დვალაძემ** და ანდრია ბენაშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა: **მარიამ ბენაშვილმა, ნინო კაპანაძემ** და **გიორგი ნათენაძემ**. მათ აღნიშნეს, რომ პროფესორი ანდრია ბენაშვილი გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო მოღვაწეობის ისტორიაში.

ხსოვნის საღამოს ხიბლს მატებდა ანდრია ბენაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, ეკრანზე გაცოცხლებული, ფოტოკადრები.

*მარიკა პოპიაშვილი*



უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები

პირველ რიგში: **მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი;** მეორე რიგში: **ანდრია ბენაშვილი, ნიკო ჩიგოგიძე;** მესამე რიგში: **ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ვასილ კაკაბაძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ევგენი ჭოლოშვილი.**

**ანდრია ბენაშვილი** დაიბადა 1868 წლის 23 მარტს. განათლების მიღების შემდეგ, პეტერბურგის გეოდეზიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ მიიწვიეს. აქედან დაიწყო მისი, თითქმის 40-წლიანი, პედაგოგიური მოღვაწეობა უმაღლეს სკოლაში. ამ თანამდებობაზე იგი 1916 წლამდე მუშაობდა. პარალელურად, 1905 წლიდან 1916 წლამდე, იყო გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრის გამგე სამხედრო საინჟინრო აკადემიაში, სამხედრო ტოპოგრაფიის კურსს კითხულობდა პავლოვისა და მიხაილოვის სამხედრო სასწავლებლებში.

პირველი მსოფლიო ომის მონაწილემ გენერალ-ლეიტენანტის ჩინსაც მიაღწია. მისი საქართველოში ჩამოსვლა უნივერსიტეტის გახსნისთვის სამზადისის დამამთავრებელ ეტაპს დაემთხვა. იგი მხარში ამოუდგა ივანე ჯავახიშვილს ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში, ქართულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა ანდრია ბენაშვილის ჭაბუკობის ოცნების აღსრულება იყო.

1918 წელს უნივერსიტეტში დააარსა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრა, რომლის ბაზაზეც შემდგომში ასტრონომიისა და კარტოგრაფია-გეოდეზიის დამოუკიდებელი კათედრები ჩამოყალიბდა.

ანდრია ბენაშვილი ყველა იმ მოსამზადებელი სამუშაოების აქტიური მონაწილე იყო, რამაც შესაძლებელი გახადა, 1922 წლიდან, უნივერსიტეტში, პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნა. ამ მოვლენამ, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო შემდგომში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას.

მან საქვეყნოდ ცნობილ გეოდეზისტთა მთელი პლეადა აღზარდა. საკმაოდ მკაცრი გამომცდელი იყო. ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი იხსენებდა, რომ სამჯერ გაიყვანა გამოცდაზე და სამჯერვე ჩაჭრა. ასე უთქვამს: შენ რომ უცხო ტომისა ყოფილიყავი, ნიშანს დაგიწერდი. აი, ქართველი რომ ხარ, იმიტომ არ გიწერ ტყუილ ნიშანსო, მინდა, ზედმიწევნით კარგად იცოდე ჩემი საგანიო. ამ პატრიოტული მრწამსით იყო გაჟღენთილი ანდრია ბენაშვილი. მისმა საყვარელმა მოსწავლემ, პროფესორმა ნიკოლოზ თევზაძემ ანდრია ბენაშვილის ცხედარი, 1941 წელს, სოხუმიდან გადმოასვენა. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **დიმიტრი შაშკინისა** და განათლების პროფესიული სინდიკატის პრეზიდენტის **ტატო შავშიშვილის** სამუშაო შეხვედრა გაიმართა. პროფესიული გაერთიანების ხელმძღვანელმა მინისტრს წარუდგინა წინადადებები, რომელთა განხორციელებას სინდიკატი სამინისტროსთან თანამშრომლობით გეგმავს.

ამჯერად, ტატო შავშიშვილი სკოლების ბრენდირებისა და დირექტორთა სერტიფიცირების თემას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სინდიკატი მზად არის, შექმნას საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ სკოლას გაუწევენ დახმარებას, რათა ის მოთხოვნები დააკმაყოფილონ, რომელთაც მათ სამინისტრო ვარსკვლავების მოპოვებისთვის უყენებს.

რაც შეეხება დირექტორთა სერტიფიცირებას, სამინისტროს მიერ დირექტორის სტანდარტის შემუშავების შემდეგ, განათლების პროფესიული სინდიკატი დირექტორობის მსურველებს უფასო ტრენინგების გავლას და ყველა იმ აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვას შესთავაზებს, რაც წარმატების მიღწევისთვის აუცილებელია.

დიმიტრი შაშკინმა დადებითად შეაფასა განათლების პროფესიული სინდიკატის ინიციატივა და მნიშვნელოვანი უწოდა საზოგადოებრივი გაერთიანებების აქტიურ ჩართულობას განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გია მამულაშვილმა** მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის დაწყების შესახებ ბრიფინგი გამართეს.

„მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესის“ თანახმად, დამწყებ მასწავლებლებს, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება შესაბამისი კვალიფიკაციით, შეუძლიათ, რეგისტრაციისთვის მიმართონ შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და ჩაერთონ მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ქალაქში ხორციელდება. რეგისტრირებული მაძიებლები შეირჩევიან სკოლის შესარჩევი კომისიების მიერ. მაძიებლობის 1-წლიანი პერიოდის გავლის შემდეგ, მათ უფლება აქვთ, გაიარონ სასერტიფიკაციო გამოცდა და მოიპოვონ მასწავლებლობის უფლება.

2010-2011 სასწავლო წელს მაძიებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის საჯარო და კერძო სკოლებში, შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული.

საგანმანათლებლო რესურსცენტრებში მაძიებელთა რეგისტრაცია 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

* * *

„ქართველ მეცნიერთა ფორუმის“ ფარგლებში, 20-21 სექტემბერს, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ორდღიანი პლენარული სესია გაიხსნა. ფორუმის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მეცნიერების განვითარებას, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვას. სესიის გახსნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** დაესწრო.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ორდღიან პლენარულ სესიას აკადემიური წრეების, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან.

პლენარული სხდომების პარალელურად, ეწყობა პოსტერების სესია, რომელზეც წარმოდგენილია საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების სამეცნიერო პოტენციალი, ინფორმაცია მიღწეული სამეცნიერო შედეგების, აკადემიური რესურსის შესახებ და სხვ.

ფორუმის ორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

**ფორუმზე მოხსენებებით წარდგნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან:**

**პროფ. გასტონ ბუაჩიძე,** ნანტის უნივერსიტეტი, საფრანგეთი;

**პროფ. დოდონა კიზირია,** ინდიანას უნივერსიტეტი, აშშ;

**პროფ. ოთარ მგალობლიშვილი,** ლივერპულის ჯონ მურის სახელობის უნივერსიტეტის ზოგადი ინჟინერიის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, დიდი ბრიტანეთი;

**პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი,** აბუ სალამის მათემატიკურ მეცნიერებათა სკოლა, პაკისტანი, ქ. ლაჰორი;

**პროფ. ბესიკ კანკია,** მინესოტას უნივერსიტეტი, აშშ;

**პროფ. ჯემალ ხუბუა,** ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრი, შვეიცარია;

**პროფ. ალექსანდრე ლეჟავა,** ომიკს სამეცნიერო ცენტრი, რიკენ იოკოჰამას ინსტიტუტი, იაპონია;

**პროფ. მარიკა პირველი,** შჩეცინის უნივერსიტეტი, პოლონეთი;

**დოქ. თამარ ფირცხალავა,** მაიო კლინიკის ფონდი, როჩესტერი, აშშ, მინესოტა და სხვ.

# მარათონი მშვიდობისთვის

2010 წლის 18 სექტემბერს, ვარდების მოედანზე, მეორედ აიღო სტარტი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულმა მარათონმა მშვიდობისათვის, რომელშიც 600-მდე 8-დან 16-წლამდე აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები, მათ შორის აფხაზეთის სპორტული და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები და კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი ბავშვები მონაწილეობდნენ. მარათონს უძღვებოდა მომღერალი **მამუკა ონაშვილი.**

სპორტულ გარბენში გამარჯვებულებს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ მედლები, სამახსოვრო სიგელები და თასები გადასცა. პირველ ადგილზე გასულ მარათონელებს (**გიორგი წიქარაშვილი** და **თამარ კაკულია**) სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების წარმომადგენლობამ საქართველოში – სპორტული ეკიპირება, ხოლო ყველა მონაწილე ბავშვს სპორტული სამაჯურები გადასცა.

*„მარათონის მიზანია სამშვიდობო განათლებისა და სპორტის პოპულარიზაცია დევნილ ახალგაზრდებში. მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სპორტის სამშვიდობო მისიის ხაზგასმა,"* – განაცხადა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დალი ხომერიკმა.**

მარათონში გამარჯვებულები გახდნენ: **გიორგი წიქარაშვილი, ალეკო შუკვანი, თემურ ბენდელიანი, თამარ კაკულია, ნინო კვაშილავა, მარიამ გერლიანი.** ყველაზე სწრაფი და ნორჩი მარათონელები 8 წლის **გოჩა ქარელაშვილი** და 6 წლის **ნანა ძიძარია** აღმოჩნდნენ. საპატიო მარათონელის წოდება ერგო **მამუკა ონაშვილს.**









* * *

2010-2011 სასწავლო წლიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სხვა სიახლეებთან ერთად, შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ფიზკულტურის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებმა ჩაანაცვლა.

სპორტის გაკვეთილების უფრო ეფექტურად და ხარისხიანად დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სპორტის ფედერაციების ერთობლივი ძალისხმევით, შეიქმნა „გზამკვლევების კრებული სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის" (VII-XII კლასები), სადაც შეტანილია სპორტის 26 სახეობა (სათამაშო სახეობები, ორთაბრძოლის სახეობები, ინდივიდუალური სახეობები).

ახალი სახელმძღვანელოების პრეზენტაცია თბილისის №142 საჯარო სკოლაში გაიმართა. გლდანის რაიონის 100-მდე სპორტის მასწავლებელს სახელმძღვანელოები განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** წარუდგინეს.



ახალი სასწავლო წლიდან სკოლა ირჩევს სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან, მინიმუმ, იმ 3 სახეობას, სადაც საშუალება ეძლევათ როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს მიიღონ მონაწილეობა ერთად (გუნდურად) ან ცალ-ცალკე.

სასწავლო პროგრამაში მასალა გაწერილია კლასების მიხედვით და დაცულია სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, განსაკუთრებით – თანდათანობისა და მისაწვდომობის.

ავტორთა მიერ პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებები, რაც მწვრთნელ-მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, ჩასწვდნენ მოცემული მასალის აქტუალობას და მიზანშეწონილად გამოიყენონ სწავლების პროცესში.

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში, მიმდინარე წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ დარბაზს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდია დედაქალაქში და მის განახლებაზე 43000 ლარი დაიხარჯა. სკოლაში 1130 მოსწავლეა და მათი დიდი ნაწილი სპორტითაა გატაცებული. სკოლის ნაკრები გუნდები კალათბურთსა და ფრენბურთში ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულია.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **გია აბულაძემ** ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რეაბილიტირებული სასაწავლო გემი „აკადემია" მოინახულეს. გემი სასწავლებელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, 2010 წლის თებერვალში, უსასყიდლოდ გადასცა. გემის რეაბილიტაციისათვის სამინისტრომ 50 000



ლარი გამოყო. ამ თანხით მნიშვნელოვანი აღდგენითი და აღჭურვის სამუშაოები განხორციელდა.

სასწავლო გემის გადაცემამდე, ბათუმის საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულები მხოლოდ სასწავლო დიპლომს იღებდნენ და სხვადასხვა გემებზე უხდებოდათ პრაქტიკული გამოცდილების დაუფლება. ამიერიდან კი, სტუდენტები საკუთარ გემზე გაივლიან პრაქტიკულ სწავლებას და ექვსთვიანი კურსის დასრულების შემდეგ, მეზღვაური, პირველად საზღვაო აკადემიის ისტორიაში, ე.წ. სამუშაო დიპლომსაც მიიღებს.

გემზე მომავალი მეზღვაურები პრაქტიკულ მეცადინეობას შემდეგ სპეციალობებში გადიან: გემთწამყვანობა, გემთმექანიკოსობა და ელექტრომექანიკოსობა, რაც საერთაშორისო საზღვაო კონვენციის მოთხოვნებს მთლიანად აკმაყოფილებს.

ამ ეტაპზე, მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კრუინგულ კომპანიებში 5000 ქართველი მეზღვაურია დასაქმებული.

სპორტი

# ახალგაზრდული იმედები უფროსებისთვის

ახალგაზრდა ძიუდოისტთა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი, რომელიც კვირას დამთავრდა ბულგარეთის ქალაქ სამოკოვოში, ქართული ძიუდოს დამოუკიდებლად არსებობის ისტორიაში, ყველაზე წარმატებული გამოდგა – ჩვენმა ნაკრებმა 2 ოქრო და 1 ვერცხლი მოიპოვა. კონტინენტის ჩემპიონები **ოთარ კაიდარაშვილი** (55) და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გახდნენ, **გიორგი ნოზაძემ** (90) კი ფინალური შეხვედრა წააგო და ვერცხლს დასჯერდა. არადა, მასაც რომ ჩემპიონობა მოეპოვებინა, გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდოდით, ახლა კი რუსეთმა გაგვისწრო და მეორეზე დავრჩით.

მოპოვებული მედლები ძალზე კარგია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ბიჭების მიერ ნაჩვენები ჭიდაობის მაღალი ხარისხია, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი წარმატებების იმედს გვაძლევს. განსაკუთრებით თვალშისაცემი სპორტსმენების კარგი ფიზიკური მომზადება იყო, რაც ქართული ძიუდოს და, ზოგადად, ქართული სპორტის აქილევსის ქუსლია. ამჯერად, ჩვენები არა თუ ჩამოუვარდებოდნენ ევროპელებს, სჯობდნენ კიდეც. ამ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედლის მფლობელი **სოსო ლიპარტელიანი**, რომელმაც ატლანტას ოლიმპიადაზე ბრინჯაო მოიპოვა. ის ჯერ თვითონაც დამწყები მწვრთნელია – შარშან ჩააბარეს ნაკრები და აქამდე პირველხარისხოვანი ტურნირებიდან მხოლოდ მსოფლიოს პირველობაზე აჭიდავა, წლევანდელი ევროპირველობა კი მის კარიერაში მეორე სოლიდური შეჯიბრებაა. გამოუცდელობის მიუხედავად, შარშანვე აჩვენა შედეგი – მსოფლიოდან თითო ვერცხლ-ბრინჯაოთი დაბრუნდა, წლეულს კი, როცა გუნდთან სამუშაოდ ბევრად მეტი დრო მიეცა, ბევრად უკეთეს წარმატებას მიაღწია. მწვრთნელი ამ პროგრესს საწვრთნელ სისტემაში შემოღებულ ახალ მეთოდს უკავშირებს. აი, რა გვითხრა მან ამასთან დაკავშირებით: *„ძიუდო სწრაფად ვითარდება და ფეხი თუ არ აუწყვე, ვარჯიშების სისტემა არ შეცვალე და ძველ სტილზე დარჩი, არაფერი გამოვა. კონკრეტულად ამ გუნდთან მიმართებაში სიახლე ის იყო, რომ გადაბმულ შეხვედრებს ვაჭიდავებდი, შესვენების გარეშე, რაც კარგია სუნთქვისთვის. ხედავთ, რომ უფროსთა ნაკრებში ორი-სამი მოგების შემდეგ ველარ ჭიდაობენ. ეს პრობლემა სწორედ ამ გადაბმულმა შეხვედრებმა უნდა მოუხსნას. ასე ვარჯიშობენ იაპონელები და ევროპელები – 7-8, ზოგჯერ 10 შეხვედრასაც ატარებენ. შეიძლება, ძიუდოისტი მეხუთე ორთაბრძოლაში ისე ყოჩაღად ვერ გამოიყურებოდეს, როგორც – პირველში, მაგრამ მაინც ჭიდაობაა და სუნთქვით პრობლემასაც ხსნის. აუცილებელია, დავაკვირდეთ იაპონელების, ფრანგების, გერმანელების და სხვათა ვარჯიშებს, გადმოვიღოთ, რაც კარგია ისინი და დავამატოთ ქართული ჭიდაობის ელემენტები, რაც ჩვენი კოზირია“.* მწვრთნელის რეფორმები გუნდს აშკარად ეტყობოდა.






ჩვენი მედალოსნებიდან ყველაზე უკეთ ჭრიკიშვილი გამოვიდა, რომელიც ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორია. შემდეგ სადაც კი იჭიდავა, ყველგან გამოკვეთილი ფავორიტი იყო – საქართველოს ჩემპიონატზე, ბერძნულ მუდანიასა თუ პრაღაში გამართულ ტურნირებში... სამოკოვოში იმდენად კარგად იჭიდავა, აშკარაა – მისი სახით ამ წონაში მსოფლიო მასშტაბის ლიდერი იზრდება, არა თუ საქართველოს ნაკრებში, ალბათ, მედალოსანთა ამ სამეულიდან 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის ყველაზე რეალური შანსი მას გააჩნია, თუმცა ეს არც სხვებისგანაა გამორიცხული. ჭრიკიშვილი ამ ტურნირზეც გამორჩეული ყველასგან იყო – ფინალი სერბ **ალექსანდარ კუკოლთან** 57 წამში მოიგო. მხოლოდ ავსტრიელ **კრისტიან ზაკართან** გაუჭირდა – ორი გაფრთხილებით მოუგო. ილეთი ვერ გაუკეთა, თორემ მთელი შეხვედრა უპირატესობას ფლობდა და მსაჯმა მეტოქე სრულიად დამსახურებულად გააფრთხილა. დანარჩენი შეხვედრებიდან ყველა ან პირდაპირ იპონით მოიგო, ან – ვაზარით. ჩვენებურმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც ტექნიკურმა და მრავალმხრივი საჭიდაო ნიჭით დაჯილდოებულმა მოზარდმა.

ერთ შეხვედრაში გაუჭირდა კაიდარაშვილსაც – აზერბაიჯანელ **ელსევარ სადიგ-ზადას** გაფრთხილებებით გასცდა, სხვა ორთაბრძოლებში კი მოწოდების სიმაღლეზე იყო. ჩემპიონატში – ტრავმირებული ფეხით ჭიდაობდა, რამაც მის გამოსვლას უდავოდ დაამჩნია კვალი, მაგრამ ჩემპიონობაში ხელი ვერ შეუშალა. ამ ტრავმის გამო იყო, ფინალში სომეხ გრიგორ ივანიანთან გდებები რომ უჭირდა. არადა, მეტოქე რამდენჯერმე თავისუფლად აიტაცა ტატამიდან, მაგრამ მერე ისე ჰყავდა ჩახუტებული, თითქოს ძირს დასაგდებად ვერ ელეოდა. ეს შეხვედრა დამატებითში გაგრძელდა, სადაც ჩვენებურმა იუკო დაიმსახურა.

ნოზაძემ წლეულს შემადგენლობიდან, ამ ასაკში, მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი არჩილ შინჯიკაშვილი ამოაგდო, რაც მისთვის პირველი გამარჯვება იყო. ისინი პირველად საქართველოს ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და შინჯიკაშვილმა მოიგო. ამით თითქოს ნაკრებშიც გაინაღდა ადგილი, რადგან ძლიერი მოჭიდავეა და წონაში სიურპრიზებს არავინ ელოდა, მაგრამ, თურმე, სიურპრიზი არსებობდა და მას გიორგი ნოზაძე ერქვა. ყველაფერი ჩეხეთის ტურნირით დაიწყო, სადაც ისინი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს და ნოზაძემ დამაჯერებელი რევანში აიღო, რაც ბევრმა შემთხვევითობად მიიჩნია. ლიპარტელიანმა ამ წონაში საბოლოო არჩევანის გაკეთება ბოლო შეკრებისთვის გადადო, სადაც ნოზაძე კონკურენტზე უკეთ გამოიყურებოდა და მწვრთნელიც მას ენდო. როგორც გაირკვა, სამართლიანადაც – დებიუტანტი ფიზიკურადაც მშვენივრად იყო მომზადებული და ტექნიკურადაც. შესაბამისად, მთელი ტურნირიც ერთი ამოსუნთქვით გაიარა და ფინალის გარდა, ყველა მეტოქეს პირწმინდად გადაუარა. ფიზიკურად იმდენად კარგ ფორმაში იყო, ნახევარფინალში ფრანგი **ალექსანდრ იდირი** შეხვედრის ბოლოს ძლივსღა სუნთქავდა, იმდენად მოქანცა. სამწუხაროდ, ფინალში ვერაფერს გახდა რუსთა ლეკ ფალავან **მაგომედ მაგომედოვთან**. როგორც ჩრდილოკავკასიელთა უმრავლესობა, მაგომედოვიც ფიზიკურად ძალიან ძლიერია, თუმცა მისი წარმატების მთავარი მიზეზი მაინც... გადაკეთებული ასაკი გვგონია. მას აშკარად ეტყობა, რომ რამდენიმე წლით უფროსია. სხვათა შორის, ასაკით მანიპულაციაც ჩვეულებრივი ამბავია იქაურებისთვის, თუმცა, საერთოდ რუსეთის და ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის. რაც მას ნაღდად არ უნდა დავუკარგოთ, მართლაც რომ შესაშური ფიზმომზადებაა – მაგომედოვმა წლეულს თბილისის მსოფლიოს თასიც მოიგო, სადაც ზედიზედ დაგვიმარცხა სწორედ ძალისმიერი სტილით გამორჩეული ისეთი ფალავნები, როგორებიც **ნოდარ მეტრეველი** და, განსაკუთრებით, **დავით ლორიაშვილი** არიან. სხვათა შორის, სამოკოვოში რუსთა ნაკრებში მაგომედ მაგომედოვის უმცროსი ძმა – **შამილ მაგომედოვიც** ჭიდაობდა და მეორეზეც გავიდა.

ამ სამეულის გარდა, ევროპის ჩემპიონატზე სხვებმაც დაგვამახსოვრეს თავი. მართალია, მიზეზთა გამო, მათ მედლები ვერ მოიპოვეს (თუმცა ჩემპიონობის კიდევ ერთი რეალური პრეტენდენტი – **ლაშა შავდათუაშვილი** (66) არბიტრებმა დაუმსახურებლად მოხსნეს შეხვედრიდან), მაგრამ სამომავლოდ ეროვნულ ნაკრებში დიდ კონკურენციას შექმნიან. ბულგარეთში საკმაოდ კარგად გამოვიდნენ ჩვენი გოგოებიც, რომლებსაც ასევე აშკარად დაეტყოთ კიდევ ერთი ახალგაზრდა მწვრთნელის, ასევე ოლიმპიურ პრიზიორ **გია თენაძის** ხელი. ჩვენს სპორტსმენებს სერიოზული პროგრესი ეტყობოდათ ყველა საჭიდაო კომპონენტში. ეს უკვე აღარ იყო ის გუნდი, რომლის წევრებიც ტატამზე გასვლას ვერ ასწრებდნენ, უკვე იპონით მარცხდებოდნენ. ახლა არც როგორმე ერთი შეხვედრის მოგებაზე იყო ლაპარაკი – უმეტესობამ ეს იოლად მოახერხა, რამდენიმემ კი სერიოზული ბრძოლა გაუმართა მომავალ ჩემპიონ-მედალოსნებს. ყველაზე მეტად ამ ტურნირმა ჩაგვისახა ქალთა ძიუდოს აღორძინების სერიოზული იმედი. არადა, საქართველოში ქალთა ძიუდოსაც საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. ცხადია, არა იმდენი, რამდენიც – ვაჟებს, მაგრამ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი.

## ბათუმი ევროპას მასპინძლობს

ორშაბათს ბათუმის ჭადრაკის სასახლეში სტარტი აიღო ევროპის ასაკობრივმა ჩემპიონატმა გოგონებსა და ვაჟებში. შეჯიბრებები 8, 10, 12, 14, 16 და 18-წლიანთა შორის ტარდება, ტურნირში კი 34 ქვეყნის 707 სპორტსმენი მონაწილეობს. ცხადია, ყველაზე მეტი მონაწილით საქართველოა წარმოდგენილი – 240, თუმცა ზოგიერთი სტუმარიც სოლიდური გუნდით გვესტუმრა: აზერბაიჯანი – 83 მონაწილით, სომხეთი – 51, რუსეთი – 41, უკრაინა – 38, თურქეთი – 30...

ტურნირის საზეიმო გახსნა სასტუმრო „ინტურისტში“ შედგა, მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი**, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **გია აბულაძე**, ევროპის ჭადრაკის კავშირის თავმჯდომარე **ბორის პუტინი**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**, საერთაშორისო დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** და სხვები.

იმედია, ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში ქართველთა წარმატებების შესახებ მოგითხრობთ.

## თელავურ კორტებს სამნი შემორჩნენ

თელავში გრძელდება 25-ათასდოლარიანი საერთაშორისო ტურნირი ქალ ჩოგბურთელთა შორის, რომელსაც 9 მასპინძლიდან მხოლოდ 3 შემორჩა. პირველ ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** ებრაელი **იულია გლუშკო** 6:1, 4:6, 6:4 დაამარცხა და მერვედფინალში პოლონელ **პაულა კანიას** ეთამაშება. მერვედფინალშია **მაკა ჩახნაშვილიც**, რომელმაც რუმინელი **აგნეშ შატმარი** დაამარცხა და ახლა ასევე პოლონელ **კაროლინა კოსინსკას** შეხვდება. **სოფო ქვაცაბაიამ** თანამემამულე **სოფო შაფათავას** 6:3, 6:1 მოუგო და ახლა ბელარუს **ვიქტორია ემელიანოვას** ეთამაშება.

ავსტრიელ **მელანი კლაფნერთან** შეამხანაგებული კალაშნიკოვა წყვილთა ტურნირში პირველ ნომრადაა განთესილი. მათ ერთი პოლონური წყვილი უკვე გაიარეს, მაგრამ მეოთხედფინალში კვლავაც პოლონელებთან მოუწევთ გამარჯვებულის გარკვევა. ჩახნაშვილმა და ქვაცაბაიამ **მანანა შაფაქიძეს** და რუსეთის სახელით მოთამაშე **ნათელა ძალამიძეს** სძლიეს, **თათია მიქაძემ** და შაფათავამ კი თანამემამულეებს – **ბაბილინა მაჩაიძეს** და **ნინო სუჯაშვილს** მოუგეს.

*რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე*

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K